საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 სექტემბერი, 2013 წელი.

№172 (7299)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილი: რუსეთი ევროკავშირის წევრიც გახდება და ნატოსიც

②

მე აღარ ვაპირებ პოლიტიკაში მოსვლას

③

„ლილა მშვიდობისა, ახალო – უმესირ და უპატრონო საქართველოვ“!

④

რა შეიძლება მოჰყვეს ოთხთვიან ომს?

⑤

აფხაზები დედაქალაქის წიაღში ბრუნდებიან?

⑥

ნაციონალები ფულს ტუალეტებშიც აკეთებენ

⑦

„ქალები მშვიდობისათვის“ მხარს სირიას უჭერს

⑦



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ჩვეულებრივი გულახდილობით

ბიძინა ივანიშვილი: რუსეთი ევროკავშირის წევრიც გახდება და ნატოსიც

6-7 სექტემბერს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაიმართა ორდღიანი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებს, ევროზონის წინაშე მდგარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს ეძღვნებოდა. კონფერენციის დასკვნითი დღის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის მოახლოებული სამიტი და იმ ქვეყნებზე რუსეთის ზეგავლენის მცდელობა, რომლებიც აღმოსავლეთის პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე ასოცირებული წევრობის პარაფირებას მოელიან. კონფერენციას საგანგებო სტუმრის სტატუსით დაესწრო ლატვიაში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. მან სამუშაო საღილზე გამოსვლისას ვრცლად ილაპარაკა საქართველოს ევროპულ არჩევანზე. ამ და სხვა საკითხებზე ბიძინა ივანიშვილს რიგაში ესაუბრა რადიო „თავისუფლების“ სპეციალური კორესპონდენტი კობა ლიკლიკაძე. საუბრის დასაწყისში ივანიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა საქართველოს ხელისუფლების სტრატეგია ევრაზიულ კავშირთან შესაძლო თანამშრომლობაზე, რასაც ბოლო ხანებში ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

ბიძინა ივანიშვილი: სტრატეგია არის ის, რაც ქვეყნისთვის ყველაზე სასარგებლოა, ხომ ასეა? ე.ი. სარგებელს სადაც ხედავს ქვეყანა, იქით იყურება, იქით მიდის. რაც ყველაზე საინტერესოა და სასარგებლოა ქვეყნისათვის, ისაა მისი სტრატეგია. ჩემი პასუხიც ასეთი იყო: ჩვენ ვუყურებთ, ვსწავლობთ და თუ ეს ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება – რატომაც არა?! რაც ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება, ის არ შეიძლება, რომ ქვეყნის სტრატეგიას ეწინააღმდეგებოდეს. თუ ქვეყნის სტრატეგია და ყველაზე სასარგებლო მიმართულება, რომელსაც ქვეყანა აირჩევს და მის სტრატეგიად ასახელებს, არის ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე... სტრატეგია არის გამოკვეთილი და სასარგებლო ქვეყნისთვის. ე.ი. თუ არ მოდის წინააღმდეგობაში ძირითად სარგებელთან, რა თქმა უნდა, სხვა დამატებითი სარგებელი შეიძლება აიღო.

რადიო თავისუფლება: ისე, ბატონო ბიძინა, ეს ევრაზიული გაერთიანება სტრატეგიულად იქნებ მართლა საინტერესოა? აგერ სომხეთმა, რომელსაც ერთხელ თქვენ მოუწონეთ საგარეო პოლიტიკური კურსი, თქვა, რომ შეუერთდება ამ გაერთიანებას.

ბიძინა ივანიშვილი: ჰო, აქ დიდი კითხვაა. ახლა დაველოდოთ ჩვენ. პირველი რეაქცია (შტეფან) ფულეს განცხადება იყო გუშინ და, რა თქმა უნდა, ევროპელებს ეს არ გაუხარდათ... ახლა რაც ხდება სომხეთის შემთხვევაში – რამდენად დროულად, რამდენად შესწავლილი აქვთ მათ ეს თემა და რამდენად მათი სტრატეგია არის ისევ ევროპა და ნატო, და რამდენად მოდის ეს შესატყვისობაში – ეს ჯერ გასარკვევია. მე არასდროს არ გავხდი ჩვენს ქვეყანას საცდელად და გამოსაცდელად! ჩვენ უნდა დარწმუნებულნი ვიყოთ, რა გვინდა ჩვენ და რას ვაკეთებთ. შესაბამისად, მყარი პასუხი გავეცი ჟურნალისტს – ჩვენ თვალყურს ვადევნებთ და ვსწავლობთ, თუ რა არის ეს ევრაზიული კავშირი და რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ჩემი აზრით, ახლოში არა, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში რუსეთი ევროკავშირის წევრიც გახდება (ვერსად ვერ წავა, ახლოს არიან და ქვეყნებს ერთმანეთი სჭირდებათ), ნატოს წევრიც გახდება და ახლო მეგობარი გახდება ამერიკის. შესაბამისად, როდესაც სწავლობ და უყურებ, მაშინ შეხვალ შენ თუ გინდა იქ (ევრაზიულ კავშირში), როდესაც ხედავ, რომ საეჭვო აღარაა და შენი ქვეყნისათვის ეს საინტერესო და სასარგებლოა...

რადიო თავისუფლება: თუმცა, ამ გადასახედიდან ეს პროგნოზი ცოტა თამამია...

ბიძინა ივანიშვილი: თამამი რა, ყველაფერი იცვლება გლობალურ პოლიტიკაში, დღევანდელი მტრები ხვალ მეგობრები არიან და პირიქით. აბა ნახეთ, რუსეთი და გერმანია დღეს საუკეთესოდ მეგობრობენ. აბა ნახეთ, რამდენი წელიწადი გავიდა? და როგორი სიტუაცია იყო – მსოფლიო ომი და როგორი ომი თანაც.

რადიო თავისუფლება: ბატონო ბიძინა, თქვენ ბრძანეთ, რომ აკვირდებით და ჯერ არ იცით, რას წარმოადგენს ევრაზიული კავშირი...

ბიძინა ივანიშვილი: თვითონ არ იციან ჯერ რა უნდათ და მე როგორ უნდა ვიცოდე?!...

რადიო თავისუფლება: არა, მე სხვა რამეს გეტყვით. ევროზონაში რა გვინდა და რა გველოდება ევროკავშირში, – ეს ვიცით ზუსტად? რა რეგულაციები გველოდება? რა გამოწვევები გველოდება? აქ, რიგის კონფერენციაზე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პესიმისტები ჭარბობენ ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებით.

ბიძინა ივანიშვილი: კარგი შეკითხვაა, ძალიან კარგი შეკითხვაა. რაც შეეხება ევროპას, ეს ჩვენი სტრატეგიაა, თუ გნებავთ, ისტორიული ნებაა ქართველი ხალხის. ევროკავშირში ჩვენ, პირველ რიგში, მოგვწონს ევროპული ფასეულობების დომინირება, სიტყვა „ევროპა“ ჩემთვის, პირველ რიგში, ევროპული ფასეულობებია. დღევანდელმა ცივილიზაციამ ვერაფერი უკეთესი ვერ მოძებნა, გარდა ევროპისა. ყველაზე წარმატებული და ყველაზე საინტერესოებიც დღეს ძველი ევროპელები არიან. თუ უკეთეს რამეს გამოიგონებს კაცობრიობა, ჩვენც უნდა შევეცადოთ (მასთან თანამშრომლობას)...

რადიო თავისუფლება: მისი პოლიტიკური განზომილება უფრო მოგწონთ ფასეულობის მხრივ, თუ მისი ეკონომიკური შესაძლებლობები?

ბიძინა ივანიშვილი: ამ ფასეულობების საფუძველზე მოახერხა ევროპამ შეექმნა ზუსტად ის ადამიანის უფლებები, კონკურენტუნარიანი ბაზარი, რომ არ არის კორუფცია და ა.შ., რაც არის ევროპული ფასეულობები. ახლა ეს ეკონომიკური კრიზისი, რაც დღეს ევროპაშია, რა თქმა უნდა, ცოტა ჩრდილს აყენებს დღევანდელი გადმოსახედიდან ევროპულობას. მაგრამ კრიზისიც ჩამთავრდება. ჩვენ სად უნდა ვიყუროთ, თუ არა ევროპის მიმართულებით? რა არის უკეთესი? თუ არა ევროპისკენ, მაშ საითკენ? გამოკვეთილად, საუკუნეზე მეტია, ევროპა საინტერესოა და, რა თქმა უნდა, უკეთესისაკენ უნდა იყურებოდეს ყველა ადამიანი. ევროპა ამოჩემება კი არაა სიტყვის, არამედ ადამიანი ყოველთვის ისწრაფვის უკეთესობისკენ. ევროპაზე უკეთესი ჯერ არაფერი არ შეუქმნია თანამედროვე ცივილიზაციას.

რადიო თავისუფლება: მაგრამ ევროპა მიმზიდველია იმით, რომ მას არ ჰყავს ერთი ბატონი. აი, ევრაზიულ გაერთიანებას, რომელიც პერსპექტივაში ეკონომიკურად შეიძლება მიმზიდველი იყოს, უკვე ჰყავს ერთი ბატონი მოსკოვის სახით, რომელიც კარნახობს სხვა წევრებს თამაშის წესებს.

ბიძინა ივანიშვილი: ასეთში არ შევალთ ჩვენ მერე. ჩვენ ბატონობა უკვე დავამთავრეთ. ბატონობა ახლა სურდა ამ კაცს ბოლოს...

რადიო თავისუფლება: ვის გულისხმობთ?

ბიძინა ივანიშვილი: ... და ფეოდალივით იქცეოდა ჩვენი პრეზიდენტი. ექვსი რეზიდენცია, უამრავი ქონება, აქეთ ვერტმფრენები, თვითმფრინავები, სამი ათასი კაცი დაცვა და მთელ ქვეყანას იმსახურებდა. ჩვენ ბატონების დრო დავამთავრეთ.

ჩვენ გვინდა ადამიანის უფლებები, თანასწორობა, დემოკრატია და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა. შესაბამისად, ევრაზიულ კავშირს, მე სწორად ვთქვი, ვუყურებთ და ვსწავლობთ. ასეთი სახით, როგორც თქვენ თქვით, და რაც დღეს იკვეთება, მაგრამ ჩამოყალიბებული არ არის – ეს არა, ჩვენ იქ არ შევალთ! ეგეთი სახით ჩვენ არ გვინდა! ჩვენ გვინდა ის, რაც ჩვენს ქვეყანას კარგ პერსპექტივას შეუქმნის და ეს არ იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების საპირისპიროდ, ეს არ იქნება ევროპეიზაციის საპირისპიროდ, ეს არ იქნება ქვეყნის უსაფრთხოების საპირისპიროდ. ზოგადი პასუხები ასეთია.

რადიო თავისუფლება: ბატონო ბიძინა, ევროპულ და ზოგადად დასავლურ ფასეულობებში არჩეული, ხალხის მანდატით აღჭურვილი პოლიტიკოსები თავიანთ მანდატს ასრულებენ ბოლომდე. ნაადრევად მიდიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური უნარი არ შესწევთ ან თუ მათი იმპიჩმენტის საკითხი დადგება. თქვენ მიდიხართ მაშინ, როცა პოპულარობის ზენიტში ხართ და მაშინ, როცა ბევრი საქმეა გასაკეთებელი, როგორც თქვით. მყარად გაქვთ გადაწყვეტილი, რომ მიდიხართ?

ბიძინა ივანიშვილი: თუ ნახავთ თქვენ და წაიკითხავთ ჩემს განმარტებებს პრესკონფერენციამდე,...

რადიო თავისუფლება: კი წავიკითხე...

ბიძინა ივანიშვილი: ... მე მგონი იქ კარგად ავხსენი ყველაფერი. მე კი არ მივდივარ და გავურბივარ პასუხისმგებლობას, არამედ გადავდივარ უფრო რთულზე. და რაც შეეხება არჩევნებს და რომ ხელისუფლებას ირჩევენ, წავალ მაშინ, როცა დავრწმუნდები, რომ ჩემი გასაკეთებელი გაკეთებულია.

გარკვეული ვადით, მე პოლიტიკაში შემოსვლის პირველივე დღიდანვე განვაცხადე – და ეს განცხადება თან ერთვოდა ჩემს განმარტებებს წასვლასთან დაკავშირებით – აბსოლუტურად თანამიმდევრულად განვაცხადე, რომ ამ დროში მოვალ პოლიტიკაში, დავალაგებ, გავაკეთებ ჩემს გასაკეთებელს და წავალ. წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩემი გასაკეთებელი გაკეთებულია. როდესაც ვნახავ, რომ აბსოლუტურად სტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა საქართველოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადავალ და მივხედავ ძირითადს. მთავრობა საზოგადოების ნაწილია მხოლოდ, ერთი ნაწილი. საზოგადოება უფრო ფართოა, უფრო მთლიანია. და იმ დანარჩენ ნაწილს, მარტო ერთს, რატომ უნდა გადაყვე? ის ნაწილი, რომელსაც ჰქვია მთავრობა, იქნება საუკეთესო ნაწილი იმ საზოგადოების...

რადიო თავისუფლება: თქვენ აპირებთ, რომ საპარტნიორო ფონდი ჩაუდგეთ სათავეში და იქიდან შეეწიოთ ხელისუფლებას?

ბიძინა ივანიშვილი: არა, რა შუაშია საპარტნიორო ფონდი. მე მსგავსსაც კი არაფერს ვაპირებ. ვაპირებ ვიყო საზოგადოების აქტიური წევრი. და რაც შეეხება ბიზნესს, საინვესტიციო კლიმატს და ინვესტიციებს, – ამ მხრივაც არანაკლებს გავაკეთებ ქვეყნისათვის, სადაც ვიქნები, იქიდან. რაც შეეხება მთავრობას, მე მასზე პასუხისმგებლობას ვიტოვებ. კი არ ვტოვებ და მივდივარ სადღაც, არამედ ვიტოვებ პასუხისმგებლობას, რომ ეს იქნება აბსოლუტურად წარმატებული მთავრობა, ეს იქნება არაკორუფციული, ევროპული ტიპის, ტიპიური ევროპული მთავრობა ეყოლება საქართველოს.

რადიო თავისუფლება: ანუ, თუ მე სწორად გავიგე, თქვენ გგონიათ, რომ თქვენ იმ პოტენციურ ახალ ამპლუაში უფრო რთული ამოცანების გაკეთება მოგიწევთ, ვიდრე ქვეყანაში მთავრობის მართვაა?

ბიძინა ივანიშვილი: რა თქმა უნდა. იქ მე რაც შემეძლო, ჩემს რესურსს, ამოწურულად ჩავთვლი, როდესაც პრეზიდენტის არჩევნები ჩამთავრდება. ჩემი დიდი რწმენით პრეზიდენტად მოვა მარგველაშვილი და იქნება იდეალური ვარიანტი...

რადიო თავისუფლება: რატომ გჯერათ ამის, ბატონო ბიძინა?

ბიძინა ივანიშვილი: ჯერ, ელემენტარულად, მე ანალიზის უნარი მაქვს და, პრეზიდენტად მოვა მარგველაშვილი და იქნება იდეალური ვარიანტი.

ჩემი აზრით, ვიცი ხალხის განწყობაც. როდესაც ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დამისვა შეკითხვა, თუ ეგრე არ მოხდებაო? – მე მას პასუხი გავეცი, რომ ასეთ შემთხვევაში ვთავისუფლდები ჩემი პასუხისმგებლობიდან...

რადიო თავისუფლება: და მაინც მიდიხართ?

ბიძინა ივანიშვილი: რა თქმა უნდა. მაშინ, უნდა გაიქცე უკვე, თუ ველარც ანალიზს აკეთებ და არც ის ზედმეტი ნდობა გაქვს, რაც, მგონია, რომ მაქვს საზოგადოებაში. მე მინდა ვემსახურო საზოგადოებას, დავეხმარო მას და არა თავს მოვახვიო ჩემი სამსახური. თუ შევხედავ, რომ მე ეს აღარ გამომდის და არც ზედმეტი ნდობა არ მაქვს, შესაბამისად, ჩავთვლი, რომ თავისუფალი ვარ და ოთხივე გზა გახსნილი მაქვს და როგორც მომინდება, ისე ვიცხოვრებ და სადაც მომინდება, იქ ვიცხოვრებ.

რადიო თავისუფლება: იმ პრესკონფერენციაზე, ბატონო ბიძინა, ჩემი აზრით, თქვენ ცოტა უცნაური რამ თქვით, რომ სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში შეჩერდა იმიტომ, რომ თქვენ ეს ევროკავშირმა და ამერიკამ მოგთხოვეს და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ლამის მზად იყვნენ, შეეწყვიტათ თქვენთან ურთიერთობა. მე არ ვიცი... ევროკავშირი დგას იმ ფასეულობებზე, როდესაც დამნაშავეები ისჯებიან, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. რა ფორმით მოგთხოვეს ეს?

ბიძინა ივანიშვილი: აგიხსნით, აგიხსნით. ძალიან კარგად დააკონკრეტეთ ეს წინადადება. იმ ფორმით, რომ ჩვენი წინა ხელისუფლება სააკაშვილის მეთაურობით ახერხებდა ძალადობასა და სიცრუეში ემყოფებინა საზოგადოება, ჩვენ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ევროპულ რელსებზე გადავაწყვეთ, პრაქტიკულად ლეგიტიმაცია დაკარგა საზოგადოებამ. ვიცით, როგორ ატარებდნენ არჩევნებს და რას აპირებდნენ მომავალში. ყველანაირად უფლებაწართმეული საზოგადოება გვყავდა შიგნით. გარეთ კი ახერხებდნენ „გაეპიარებინათ“ და ისეთ დონეზე მიეწოდებინათ ევროპისთვის და ამერიკისთვის,

შეხვედრა ჟურნალისტებთან

რომ თითქოს დემოკრატიის შუქურა იყო საქართველო. ეს ეხება იმ შეკითხვასაც, რომელიც ევრაზიულ გაერთიანებასთან დაკავშირებით დამისვით. და ნახეთ, ვისაც კი ვხვდები, ყველა ამაზე საუბრობს. ისეთ დონეზე აქვთ აწეული დღესაც ეს „პიარი“, ისე სწრაფად ახერხებენ ინფორმაციის გავრცელებას, რომ მომენტალურად ააყირავეს და მიაწოდეს ყველას. აი, ასე ახერხებდნენ ცხრა წლის განმავლობაში, ეს სისტემა ააწყვეს. ევროპას უმტკიცებდნენ, რომ ისინი არიან დემოკრატიის შუქურა... მაგრამ ახლა მოდის ახალი ხელისუფლება და შენ რომ გინდა ხუთ წუთში ევროპას დაუმტკიცო საპირისპირო, რომ ესენი დემოკრატები კი არ არიან, არამედ პასუხი უნდა აგონ, ესე მარტივი არაა ეს. ჩვენ თუ გვინდა ევროპეიზაცია, თუ ჩვენ გვინდა გავაგრძელოთ ეს გზა, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ჩვენს პარტნიორებს. უნდა გავწელოთ ეს დროში, მაქსიმალურად გამჭვირვალე გავხადოთ ეს პროცესი, რათა მათ დაინახონ ეს და წაიკითხონ, რომ თქვენ თურმე ნორმალური ხალხი ხართ და ესენი (წინა ხელისუფლების წარმომადგენლები) გვატყუებდნენ. ეს პროცესი გარდამტეხ ფაზაში შევიდა უკვე, გარწმუნებთ, და პრაქტიკულად ყველა ყველაფერს აცნობიერებს. და ამას ანგარიშის გაწევა უნდოდა და, აი, ეს გავაკეთეთ ჩვენ და გავაკეთეთ ძალიან კარგი, გონივრული და გააზრებული ქმედებით. ქართველ ხალხს და შიდა საზოგადოებას ლეგიტიმაცია დავუბრუნეთ. სამაგიეროდ მათ ჩვენგანაც მოითხოვეს მეტი: აბა, მიდით, რაც შეიძლება მეტი დაიჭირეთ და სწრაფადო. აქეთ, გარეთ გვეუბნებიან: თქვენ რას აკეთებთ, დემოკრატიას ებრძვით? ესენი ხომ დემოკრატები იყვნენ გუშინო? აი ეს ორივე (პოლუსი) დავაბალანსეთ ჩვენ და, რაც მთავარია, კანონს არ დავაბიჯეთ და არ გადავუარეთ, სამართალს არ გადავუარეთ.

რადიო თავისუფლება: ანუ, ფაქტობრივად, პროკურატურას უთხარით, ევროკავშირი გვძრახავს და გააჩერეთ სამართლიანობის აღდგენაო?

ბიძინა ივანიშვილი: არა, არც ერთ შემთხვევაში არ ჩავერევი და ამის პრეცედენტიც არ ყოფილა. მაქსიმალური მტკიცებულებები, არ იჩქაროთ დროში - აი ეს იყო პოლიტიკური მოწოდება. არ აჩქარდეთ! სამჯერ ჩვენ და რუსეთმა ორმხრივად გადავდგით პოზიტიური ნაბიჯები და მე მინდა ამას ხაზი გავუსვა.

გადაამოწმეთ, მტკიცებულებები გაამაგრეთ-მეთქი... დამკვირვებლებიც ჩამოვიყვანეთ ჰამერბერგის, ძალიან ცნობილი უფლებათდამცველის სახით. ეუთოს ხელმძღვანელს ახლა შევხვდი და მათი დამკვირვებლებიც არიან ჩვენთან. ეს პროცესი მიდის, ასე ვთქვათ, ევროპული ტემპებით და არა ქართული ტემპებით (რომ გვაჩქარებდა საზოგადოება, აბა დროზეო). ყველაფერი ევროპულ რელსებზე გადავაწყვეთ ნელ-ნელა, სამართალს არ დავაბიჯეთ და ეს პროცესი გრძელდება.

რადიო თავისუფლება: არ შემიძლია, ბოლოს რუსეთზე არ გკითხოთ. თქვენ ბევრი გზავნილი გააკეთეთ რუსეთისთვის, რომ შეგებრუნებინათ კრემლის დამოკიდებულება, გყავთ სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან მოლაპარაკებებში, რიტორიკა შეცვლილია, მაგრამ რუსეთისგან მაინცდამაინც ქმედითი საპასუხო ნაბიჯები არ ჩანს. ამას წინათ თქვენ აღნიშნეთ კიდეც „ამბასადორიელზე“, რომ „მათ გვიპასუხეს მავთულსლართებით.“ ხომ არ აპირებთ რუსეთში ჩასვლას ოფიციალური ვიზიტით, რომ პირადაპირ შეხვედრაზე გადაწყვიტოთ პრობლემური საკითხები?

ბიძინა ივანიშვილი: ჯერ არ არის, საუბედუროდ, ასეთი წინასწარი მზაობა, რომ რუსეთში ჩემი ჩასვლის შესაძლებლობა იყოს.

რადიო თავისუფლება: იმათი მხრიდან არ არის?

ბიძინა ივანიშვილი: ორივე მხრიდან არაა. და „ამბასადორიალზე“ მე ვთქვი, რომ არა ცალმხრივად, არამედ ჩვენ და რუსეთმა ორმხრივად გადავდგით პოზიტიური ნაბიჯები და მე მინდა ამას ხაზი გავუსვა. ეს არ არის ცალმხრივად, რომ საქართველომ გააკეთა რაღაც „პოზიტივი“ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ და რუსეთმა არაადეკვატურად უპასუხა. არა, ეს იყო ორივე მხრიდან. რუსეთი რომ არა, ეს საქონელი ასე ვერ შევიდოდა რუსეთის ბაზარზე. ძირითადი, რაც ჩვენ გავაკეთეთ და რასაც შეიძლება ეწოდოს წინსვლა და „პოზიტივი“, ეს არის ის, რომ საგაჭრო ურთიერთობები აღდგა და ეს ცალმხრივად არ გაგვიკეთებია ჩვენ.

რადიო თავისუფლება: პოზიტიური დინამიკაა ამ მხრივ?

ბიძინა ივანიშვილი: აბსოლუტურად პოზიტიური დინამიკაა. მე აღვნიშნე, რომ პოზიტიური ნაბიჯები ორივე მხრიდან გადაიდგა, ამასთან აბსოლუტურად შეუსაბამობაში მოდის ის მავთულხლართების გადმოწევა, რასაც ცალხრივად აკეთებს რუსეთი და ამით გაუგებრობებს იწვევს. ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა და მისი აღზრდის პრეტენზია მე არ მაქვს.

რუსეთს აქვს თავისი ხელწერა, თავისი ქმედება აქვს და, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ეს ხშირად არ არის ისეთი, როგორის სურვილიც შეიძლება გვქონდეს ჩვენც და ევროპასაც. მაგრამ ჩვენ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. მოთმინებით უნდა ვუყუროთ. უნდა ვიყოთ პრინციპულები, კონსტრუქციულები და დიპლომატიურები. რას ვიზამთ, რეალობას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ვინც არ გაუწია ანგარიში და როგორც არ გაუწია ანგარიში რეალობას, აი, რა მივიღეთ ჩვენ და რა გვაქვს დღეს! რომ არა ჩვენი ეს უმეცრება და ჩვენი წინა ხელისუფლების ეს უმეცრება და ეს სულელური ნაბიჯები, ჩემი დიდი რწმენით, ეს ასე არ მოხდებოდა და მოვლენები ასე არ განვითარდებოდა. შესაბამისად, ახლა ისინი (წინა ხელისუფლების წარმომადგენლები) ისევ გვაწვებიან ისტერიულად, თუ როგორ ბედავ და რუსეთზე რაიმე პოზიტიურს ამბობო. მტრის ხატს ხატავენ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ პოზიცია დავიჭიროთ. ეს ჩვენი ყველაზე დიდი მეზობელია და ჩვენ ვსაჭიროებთ მასთან ნორმალურ ურთიერთობებს. ისინიც საჭიროებენ, რომ იცოდეთ, რუსეთიც საჭიროებს საქართველოსთან ჯანსაღ ურთიერთობებს და, ჩემი გადმოსახედიდან, ისინიც აცნობიერებენ ამას. მაგრამ ამას არ უნდა ისტერიული ყვირილი, გინება და იარაღის ჟღარუნი, რაც ხდებოდა ადრე. ამას უნდა ნაბიჯ-ნაბიჯ პრინციპული პოზიცია, დიპლომატია და მაქსიმალური მოთმინება, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ დავალაგოთ ურთიერთობა და მივიღოთ შედეგი. შედეგი იქნება ის, რომ ჩვენ რუსეთთან უნდა დავალაგოთ ბოლომდე ურთიერთობები, დავიბრუნოთ ტერიტორიებიც და გადავიყვანოთ მეგობრობაში ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები.

რადიო თავისუფლება: ამ „ურთიერთობების დალაგების“ ასპექტით რაიმე სიახლე ხომ არ არის ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის მხრივ.

ბიძინა ივანიშვილი: ჩვენი მხრიდან არაფერი, გარდა იმ განცხადებისა, რომელიც ჩვენ გუშინ მოვისმინეთ, რომ გაკეთდა — ცოტა უცნაური და არაკორექტული, როდესაც აფხაზეთი ცალკე მოიხსენიეს და საქართველო ცალკე. მე მგონი, უზუსტობა განცხადებაში დაუშვეს შემთხვევით, თუ ისევ ჟურნალისტებისგან მოდის ეს, არ ვიცი, გასარკვევია.

რადიო თავისუფლება: შემთხვევით რატომ, ბატონო ბიძინა, რუსეთს ხომ აღიარებული აქვს აფხაზეთის დამოუკიდებლობა და შემთხვევითი რატომ უნდა იყოს?

ბიძინა ივანიშვილი: არა, ეს ხომ სომხებმა გააკეთეს. სომხეთის უშიშროების მინისტრს გაუკეთებია ასეთი განცხადება. ვფიქრობ, რომ მას ან შეეშალა ან რკინიგზა უნდა აღდგეს, მაგრამ უნდა აღდგეს ისეთ სიტუაციაში და ისეთ დროს, რომ აბსოლუტურად გასაგები და მისაღები იყოს ეს საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისათვის.

ჟურნალისტებმა ცოტა დაარღვიეს რაღაც... რაც შეეხება რკინიგზას, აქაც ზოგადად შემიძლია გავაკეთო პატარა განმარტება. ჩვენ გვქონდა შეხვედრა და როცა სომხეთში ვიყავი, ეს სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის თემა იყო იქ წამოწეული. პრინციპულად ჩვენი პოზიცია ისეთია, რომ, რა თქმა უნდა, რაც მეტია სარკინიგზო თუ სხვა ტიპის ურთიერთობები, ეს კარგია. მაგრამ ამ კონკრეტულ თემას დიდი პოლიტიკა ერთვის თან. ეს გასაგები უნდა იყოს ყველასთვის და, პირველ რიგში, ჩვენი საზოგადოებისათვის. შესაბამისად, ჩვენი დამოკიდებულება რკინიგზასთან არის პოზიტიური, რომ რკინიგზა უნდა აღდგეს, მაგრამ უნდა აღდგეს ისეთ სიტუაციაში და ისეთ დროს, რომ აბსოლუტურად გასაგები და მისაღები იყოს ეს საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული საზოგადოებისათვის.

რადიო თავისუფლება: დაბოლოს, ბატონო ბიძინა, ცოტა დრო გავიდა თქვენი ბოლო პრესკონფერენციიდან, მაგრამ მაინც გკითხავთ, ხომ არ გადაგიწყვეტიათ, თუ ვინ იქნება თქვენი მემკვიდრე პრემიერ-მინისტრის პოსტზე.

ბიძინა ივანიშვილი: არა, ჯერ ადრეა. მე თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, მაგრამ ეს პარტნიორებს უნდა შევუთანხმო. მე ერთი კაცი არ გადავწყვეტ ამას, ჩემი ეს ვარიანტი პოლიტიკურ საბჭოსაც, პარლამენტსაც და მთავრობასაც უნდა შევუთანხმო. და ასეთ შემთხვევაში და უფრო გვიან, როდესაც დავიწყებ შეთანხმებას, საზოგადოებაც გაიგებს. ახლა რაც მიდის საქართველოში, ეს გახლავთ საპრეზიდენტო არჩევნები და აქ უნდა გადავიტანოთ ძირითადი აქცენტები და არა იმაზე, თუ ვინ იქნება მომავალი პრემიერი.

კოგა ლიკლიკაძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ ინფორმაცია

მე აღარ ვაპირებ პოლიტიკაში მოსვლას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში წავა.

ამის შესახებ ივანიშვილმა გუშინ ესტონეთში, ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე განმარტებით, პოლიტიკაში საკუთარი როლი უკვე შეასრულა და სწორედ ამიტომ ამ სფეროში დაბრუნებას აღარასდროს აპირებს.

— მე მოვახერხე და „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკიდან გავისტუმრე. ჩემი მისია შევასრულე. რამდენიმე კვირაში მას შემდეგ, რაც საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდება, ახლა უკვე მეც მივდივარ პოლიტიკიდან. ჩემი როლი პოლიტიკაში უკვე შევასრულე. მე შევებრძოლე არსებულ ხელისუფლებას, რომელიც არ იყო დემოკრატიული, მოვახერხე ცვლილებები. დავტოვებ ძალიან კარგ გუნდს. ვფიქრობ, ჩემი ახალი როლი უფრო საინტერესო იქნება. მე აღარ ვაპირებ პოლიტიკაში შემოსვლას საერთოდ, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერმა მიხეილ სააკაშვილთან წლების წინ არსებული კარგი ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა და განმარტა, რომ ეს მაშინ იყო, ვიდრე ის „პოზიტიურ პრეზიდენტად„ ითვლებოდა.

— ძალიან ბევრ რჩევას ვაძლევდი, ვეხმარებოდი, ვიდრე ის პოზიტიური პრეზიდენტი იყო და ჩვენი ქვეყანა სწორი გზით მიდიოდა. ჩვენი ურთიერთობებიც გაფუჭდა მას შემდეგ, რაც მან გააფუჭა ურთიერთობა დემოკრატიასთან. სააკაშვილს და მის მომავალს რაც შეეხება, ეს მასზეა დამოკიდებული და დამოკიდებულია როგორ განვითარდება პროცესები. ჩემი სურვილი იქნებოდა, ვიყუროთ წინ განვითარებისკენ, ვიდრე — უკან, — განმარტა პრემიერ-მინისტრმა.

ქართველი ხალხი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციაში არასდროს შესულა

— გული უსკდებათ, როდესაც ხედავენ, რომ ჩვენს შორის ერთობაა და ვერ თესავენ ეჭვს, განხეთქილებას. გული უსკდებათ, როცა ხედავენ, რომ ქვეყანამ მოიხედა საკუთარი თავისკენ და ყველას დაანახა, როგორი ამაყია. წლების განმავლობაში გვარწმუნებდნენ, რომ ქართველი ჩამორჩენილია, თურმე იმისთვის, რომ სხვებს მოეწონოს, სხვანაირი უნდა გახდეს. ეტყობა ვერ ხედავდნენ, როგორი განსაკუთრებული ვართ — როგორი განსაკუთრებული გვაქვს არა მარტო წარსული, არამედ აწმყოც, როგორი შრომისმოყვარეები ვართ. ეს ვერ შეაფასეს და ამიტომაც დაინგრა მათი გეგმები. დაინგრა იმიტომ, რომ არც ერთი მომენტში მათთან კოჰაბიტაციაში არ შევსულვართ. 9 წლის განმალობაში, არც ერთი წუთი არ ვყოფილვარ მათთან კოჰაბიტაციაში და ამას სიამაყით ვამბობ, რადგან მათი ნდობა არ შეიძლება. 2003 წლის 23 ნოემბერსვე ვთქვი, რომ არ შეიძლება ამ ხალხთან ურთიერთობა და მათი ნდობა, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა კახეთში წინასაარჩევნო შეხვედრისას.

— ქვეყანა წავა მშენებლობის მიმართულებით. ეს დავიწყეთ 9 თვის წინ, როცა თქვენი ძალით, თქვენი უშიშრობით, ერთად გავწიეთ ის ძალა, რომლისთვისაც წარმოუდგენელი იყო მოგვეგო უსისხლოდ. ჩვენ მოვახერხეთ და ქვეყანას არ მივაყენეთ არავითარი დარტყმა. ახალი ქვეყნის მშენებლობის მთავარი შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ ხელისუფლება ჩამდგარიყო არა თავისი ბოდვითი იდეების, არამედ ხალხის სამსახურში, — აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა.

ინტერპრესი

◎ პარლამენტი

გენმოდიფიცირებულ პროდუქციას წითელი აანთო

სავარაუდოდ, 2014 წლიდან გენმოდიფიცირებული პროდუქცია სავაჭრო ობიექტებში შესაბამისი მითითებით გაიყიდება. გადაწყვეტილება მიღებულია და კანონს პარლამენტი საშემოდგომო სესიაზე დაამტკიცებს.

როგორც აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **გიგლა აგულაშვილმა** პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, მთავრობამ მიიღო დადგენილება ბიოწარმოების შესახებ, ასევე მიღებულია დადგენილება, რომელიც ასეთი პროდუქციის ეტიკეტირებას და მასზე სავალდებულო მითითების გაკეთებას გულისხმობს.

„ჩვენ არ ვართ მოტივირებული გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოებით, პირიქით, ვახალისებთ პროცესებს, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა, ბიოწარმოების პროდუქტების წარმოებას. დამოკიდებულება ასეთია, მაგრამ არა პირდაპირ აკრძალვითი. ჩვენი მინიმალური მოთხოვნაა ის, რომ მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდოს, თუკი პროდუქტი შეიცავს თუნდაც ერთ კომპონენტს, რომელიც შეიძლება გენმოდიფიცირებული იყოს. ასეთ პროდუქტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაბამისი აღნიშვნა“, — განაცხადა აგულაშვილმა.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე არსებული ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გენმოდიფიცირებული პროდუქციის იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა სოფლის მეურნეობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა ქვეყანაში სათანადო ლაბორატორია შეიქმნას და ასეთი პროდუქტის იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდეს.

ზოგადად ეტიკეტირების საკითხთან დაკავშირებით, ვალდებულება აქვს როგორც მწარმოებელს, ასევე რეალიზატორს, მაგრამ მარკირების წესის დარღვევისთვის ამჟამად პასუხისმგებლობა არ არსებობს. კანონის ეს ნაწილი 2012 წელს გაუქმდა. ამჟამად უკვე მზადაა ცვლილებათა პროექტი კოდექსში, რომელშიც ჩადებულია პასუხისმგებლობა დაჯარიმების სახით, როგორც ეტიკეტირების წესის დარღვევაზე, ასევე მომხმარებლის მოტყუებასა და შეცდომაში შეყვანის მცდელობაზე. ეს კანონი საშემოდგომო სესიაზე, რაც შეიძლება მალე დამტკიცდება.

ექსპერტების აზით, მოსახლეობა გენმოდიფიცირებულ საკვებს ყოველდღიურად მოიხმარს. ბაზარზე მისი წილი განუხრელად იზრდება და დღესდღეობით 70%-ის ფარგლებშია. ამ მხრივ განსაკუთრებით საეჭვოა ე.წ. მზა პროდუქცია და სწრაფი კვების ობიექტებში გამოყენებული ნედლეული. გარდა იმისა, რომ გმო პროდუქტის მიღება ორგანიზმისთვის საშიშია, როგორც ცნობილია, ის დროთა განმავლობაში მუტაციასაც განიცდის, რაც მრავალი დაავადების გამომწვევი შეიძლება გახდეს.

არის კიდევ ერთი საფრთხე, რამაც შეესაძლოა კიდევ უფრო დიდი სავალალო შედეგი მოიტანოს. **„ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გენმოდიფიცირებულ საკვებს ირიბად შეეხება, ენდემური ჯიშებია, ანუ ჩვენთვის საამაყო იშვიათ ენდემურ ჯიშებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება, დროთა განმავლობაში, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შედეგად, შეიძლება მუტაციის, გადაგვარების საფრთხე დაემუქროს და მათი ენდემურობა დაირღვეს, რის შედეგად მათ ისტორიული დატვირთვა უკვე აღარ ექნებათ. შეიძლება ჩვენ ენდემური ჯიშები ხელიდან გამოგვეცალოს“,** — აცხადებს სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსი კახა სოხაძე.

ექიმების უმრავლესობა თვლის თვლის, რომ გმო საკვებს მძიმე დაავადებების გამოწვევა შეუძლია. საქართველომ ჯერ კიდევ 2008 წელს კარტახენას ოქმის რატიფიცირების შემდეგ საერთაშორისო პასუხისმგებლობა აიღო საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მარკირების შესახებ, თუმცა უკვე ნ წელია, ვალდებულება ვალდებულებად რჩება. ამის გამო მომხმარებელს საშუალება არ ეძლევა თავად გააკეთოს არჩევანი. იმედია, 2014 წლიდან ამ მიმართულებით ბევრი რამ შეიცვლება.

ეკა ბაძრაძე

„დილა მშვიდობისა, ახალო – უმესიო და უპატრონო საქართველოვ“!

„**მომსვლელი** ბევრი მინახავს და წამსვლელი პირველად ვნახე“... ასე დაპოსტა ქალბატონმა ია ანთაძემ ფეისბუქის პირად გვერდზე. და აი, კომენტარებიც:

„მოტივაციას გააჩნია“....

„თურმე სიამოვნება ვერ მიიღო ქართული პოლიტიკისგან. ხომ მაგარია, სიამოვნების მისაღებად მოსულა“..

„ალბათ რეგალიებს იშორებს მარტო“...

„ანუ მომსვლელი ბევრი გვინახავს და გადამსვლელი პირველად გამოჩნდა. მაინც ოქტომბერს დაველოდოთ და დეკემბერსაც, რა იცი, რა ხდება კიდევ“..

„მისთვის, ალბათ, ასე უფრო კომფორტულია“...

„დილა მშვიდობისა, ახალო – უმესიო და უპატრონო საქართველოვ“!

„მესიებთან ბრძოლა არ ვიცი, მაგრამ ის, რომ „კოჰაბიტაცია“ ახალ სახიფათო ფაზაში შედის – კარგად ვხედავ“!

ბიძინა ივანიშვილი გადის ოფიციალური პოლიტიკიდან და 14-გვერდიანი უსტარით ხელში ტოვებს პრემიერის პოსტს. რჩება გიორგი მარგველაშვილი – მისი კანდიდატი და უსუსტესი პარტია – „ოცნება“. რა გიხარიათ“?

„ვეჭვობ, რომ ბ-ნ გიორგის – სამეცნიერო წრეებიდან გამოსულ განათლებულ და მშვიდობიან ადამიანს, ჰქონდეს საკმარისი რესურსი, ამბიცია, ძალა, სურვილი და ნება ამ არეული ქვეყნის სამართავად, მით უმეტეს, ახალი კონსტიტუციის პირობებში. ვერც ახალი პრემიერის (ვინც გინდა იყოს) ავტორიტეტი მივა ახლოს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტთან. რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა და ისეთ საზოგადოებაში, როგორიც ქართული საზოგადოებაა?

ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ორპარტიული ცენტრალური საარჩევნო კომისია გარკვეულ პირობებში იმდენს მოახერხებს, რომ ბაქრაძეს 25 პროცენტს დაუწერს – და მეყოლეთ მერე ვარდივით! დაივიწყეთ იდეა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ! დაივიწყეთ სამართლიანობის აღდგენა! აქ აღარ დარჩება წონადი კაცი – ხმის ამომღები!

ანუ ეს ნიშნავს „ნაცისტების“ თითქმის სრულ „გათეთრებას“ – მათ პოლიტიკურ რეაბილიტაციას გარე ძალების კარნახით. ამას ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ვერ მიიღებს. შეიძლება განვითარდეს უმართავი მოვლენები, ანარქია, ყველას ომი ყველას წინააღმდეგ – და მაშინ გამოჩნდება მშველელი. არ ვიცი ვინ: აშშ, რუსეთი, სომხეთი, თურქეთი – მაგრამ გამოჩნდება. მოიგებენ ერთეულები, წააგებს (როგორც ხშირად ყოფილა) საქართველო და ქართველი ხალხი.

არ ვამბობ, რომ აუცილებლად ასე მოხდება – ეს ერთ-ერთი სცენარია, მაგრამ ამის ალბათობა დაკანონებული „კოჰაბიტაციის“ პირობებში მუდამ მაღალი იქნება.

ამიტომ, ფხიზლად, ხალხო!

არც ერთი ხმა (ეს არარეალურია, მაგრამ სალოზუნგოდ გამოდგება) „ნაცების“ კანდიდატს – ბაქრაძეს! ყველანი არჩევნებზე! აი, მაშინ გაუჭირდებათ გაყალბება!“

„არსადაც არ მიდის, აქვე იქნება, ახლოს უბრალოდ, ბურჯანაძეს უთმობს ადგილს და სწორსაც აკეთებს“.

„კაცი პირველად მიდის და საოცრებაა პირდაპირ“...

„ჭადრაკში რა ჰქვია ასეთ გაცვლას, ჩემზე უკეთესად იცი შენ.

არაადეკვატურ და პრანჭია „ფილოზოფოსს“ ხმას რო არავინ მისცემს თავიდანვე ნათელი იყო“...

„ჭადრაკში მაგას არაფერი არ ჰქვია. მოჭადრაკე (თუ პარტია გაყიდული არა აქვს ან ყაიმი არ აწყობს) წაგებაზე არასოდეს ითამაშებს“.

„პირდაპირ პუტინი რომ ავირჩიოთ არ შეიძლება? ბურჯანაძე-ივანიშვილები რად მინდა შუამავლად“?

„ძლიერმა მთავრობამ და სუსტმა საზოგადოებამ რა შედეგი მოგვიტანა – ვნახეთ. იქნებ პირიქით გვეცადა“?

„და რა გიხარია, ქალბატონო ია“?

„ძალიან სწორად წყვეტს... ვნახოთ, რისი მაქნისია მთავრობა“.

„მოვიდა და რა ხალხი მოგვიყვანა, მიდის და ვის გვიტოვებს, შეხედეთ ნებისმიერს, რა ბედნიერი სახეები აქვთ ამ უბედურ ქვეყანაში. გაურკვეველია პოლიტიკური კურსი, არ ჩანს მრეწველობის გაჯანსაღების არანაირი ნიშანი, ან რა ეშველება დაკარგულ ტერიტორიებს. როგორც ჩანს პასუხისმგებლობას გაურბის და სურს ჩრდილოვანი მართვა“.

„სამთავრობო წევრების მოსაზრება, რომ „პრემიერობიდან“ მიდის და პოლიტიკიდან კი არა, მაშინ როცა ივანიშვილი მესამე სექტორში გადასვლაზე საუბრობს, ცნებების აღრევაა. მესამე სექტორში გადასვლა და იქიდან „პოლიტიკის კეთება“ უზნეობა იქნება. ანუ მთავრობის წევრებისათვის პოლიტიკური პარტნიორი აღარ უნდა იყოს. თუკი პრემიერი სახელისუფლებო (სამთავრობო) თანამდებობაზე არ იქნება და თავისი პარტიის პლატფორმიდან გააგრძელებს მთავრობის (ხელისუფლების) მართვას, ესეც უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ყველა შემთხვევაში პრემიერი თანამდებობის დატოვებასთან ერთად პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. ეს კი ქვეყნისთვის თამამი გამოწვევაა“.

„ინვესტორები საერთოდ დაივიწყებენ საქართველოს და სამუშაო ადგილები... ვფიქრობ ძალზე ნადრევია“!

„როგორ არ გინახავთ წამსვლელი, ქალბატონო ია? აი რას ამბობდა უფალი ორიათასი წლის წინათ: – ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ, კიდევ ცოტაც და, მიხილავთ, რადგანაც მამასთან მივდივარ. ხოლო ზოგიერთმა მისმა მოწაფემ ერთმანეთს უთხრა: ამას რას გვეუბნება: ცოტაც და, ვეღარ მიხილავთ; კიდევ ცოტაც, და მიხილავთ, რადგანაც მამასთან მივდივარო?.. ჩვენი „მამამზე პრემიერიც“ მამასთან მიდის, რათა ნუგეშისმცემელი სული გამოგვიგზავნოს, აღგვზარდოს, გვასწავლოს და გზაზე დაგვაყენოს... მაგრამ ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო“...

„ქალბატონო ია, თქვენ სამაგალითო კომკავშირელიც იქნებოდით“...

„რას ჰქვია ვერ შეძლო? – წერილების წერაში სრულყოფილებას მიაღწია. ახლა მის დონემდე ჩვენს აქაჩვას შეეცდება, ჩა-ქაჩვა თუ არ გამოუვიდა“...

„მესამე სექტორში გადასვლა და იქიდან „პოლიტიკის კეთება“ უზნეობა იქნება.“

აბა მესამე სექტორიდან მთავრობაში მოსვლა და... დანარჩენი რაც ხდებოდა, ეს იყო თქვენთვის „ზნეობრივი“ ნორმა“?

„კარგით რა ხალხო, ადამიანი პრემიერ-მინისტრის რანგში როცა არაფრის გამკეთებელია არასმთავრობოებიდან გააკეთებს რამეს“?

„ჭკვიანურად რომ მოიქცა, ფაქტია“...

„ანტიკური მაგალითები გვაქვს მაგალითად. კორნელიუს სულა, კვინკციუს ცინცინატუსი.... სხვათა შორის ცინცინატუსი თურმე ჭარხალს და კომბოსტოს თესდა თავის ბოსტანში! მაგრამ სამშობლოზე ზრუნვა არც მაშინ დავიწყებია, როცა მალემსრბოლი ხნულში ჩაუდგა და რომის გადარჩენა სთხოვა ... ასე რომ ყველა სექტორიდან შეიძლება მოიხადო სამშობლოს ვალი... მაგარი კაცია ბიძინა, ანტიკური სინდისის და ღირსების კაცია. სწორედ მაგიტომ ვაფასებ!

„წასვლა, არ წასვლა, საკითხავი აი, ეს არის. მე მგონი ახლა წასვლა ბრძოლის ველიდან გაქცევას უდრის, არაა სწორი გადაწყვეტილება, ან ჩვენ სიმართლე არ ვიცით“.

„რამდენი ბრძენი და ვაჟკაცი პიროვნება გვყოლია და არ ვიცოდით! სად იყავით ბატონი ბიძინას გამოჩენამდე, რას აუპატიურებინებდით მამაკაცებს? ვინმე იყო ამ მოსეული მტრის – ნაციონალების მომრევი? თუ იყო, სად იმალებოდა? შიშით ტელეფონზეც ვერ საუბრობდა საზოგადოება, – სხვა უბედურებებს აღარ ჩამოვთვლი, რასაც დიდი ხანია, ვიმკით. რა მალე დაგავიწყდათ! ადვილია ხომ ცარიელი სიტყვებით თავმოწონება! რა მადლია, ასეთი უმადური ადამიანები ლაზიკაში აცხოვრო თავის ბელადიანად“!

„Англичане уходят не прощаяс, русские уходятсо скандалом. А как уходят еври? а еври прощается и не уходит“..

„რა პანიკაა, თავიდანვე თქვა და ეს ნაბიჯი ზუსტად იმას ნიშნავს, რომ გათვლილი და გააზრებული ჰქონდა თავიდანვე პროცესები და რას აკეთებს ზუსტად იცის, ბევრზე ბევრად ჭკვიანია ... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორი ზედაპირული და უპასუხისმგებლო ერი ვართ, ერთ კაცს გვინდა ჩამოვეკიდოთ და ესაა პრობლემა“...

„როგორც იტყოდა ზარატუსტრა: ზოგი ძალიან ადრე მიდის, ზოგიც – ძალიან გვიან. მთავარია, თავის დროზე წახვიდე“...

„ვიცოდი ძალიან ჭკვიანი რომ იყო, მაგრამ ასეთი ჭკვიანიც არ მეგონა. ზუსტად აქვს გათვლილი ყველა ნაბიჯი, ყოჩაღ“...

„რა დამავიწყებს იმ კოშმარულ წლებს, როცა დასამალი სოროები აღარსად იყო და შიშით შეპყრობილთ, აღარ ვიცოდით, რა გაგვეკეთებინა. მოკლედ, ძალიან მძიმე სიტუაციიდან და ბნელეთიდან, სინათლეზე გამოგვიყვანა ბატონმა ბიძინამ და ეს მართლაც არ უნდა დავუკარგოთ, უბრალოდ, უმადურობა იქნება ... მაგრამ, მართლა მაინტერესებს, რომ ამბობს, სამოქალაქო საზოგადოებას შევუერთდები და იქიდან ვიბრძოლებო, ვინ იგულისხმება სამოქალაქო საზოგადოებაში“?..

„კი, მაგრამ დანაპირები შეასრულა“?..

„დანაპირებში“ რას გულისხმობთ? 4 წელი აქვს მას დანაპირების შესასრულებლად და რაკი სამოქალაქო სექტორში მიდის, ალბათ ეს გზა აქვს არჩეული დანაპირების შესასრულებლად. ყველა ვიგინდარამ რომ არ ისარგებლოს ბიძინას სახელით და ბიძინას სახელით არ გააგრძელოს ის, რასაც აქამდე ნაცები აკეთებდნენ. იქნება ჩვენთან, მოქალაქეებთან ერთად და არ მისცემს მთავრობას საშუალებას, რომ დანაპირების შესრულებაში ხელი შეუშალოს. ძალიან ბევრს მოუწევს მადის მოთოკვა. ვინ უნდა იყოს ისეთი, რომელსაც ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება არ აწყობს? რა მოტივით? თუ არიან ასეთები, მაშინ მით უფრო მტკიცე საფუძველი აქვს ბიძინას გადაწყვეტილებას“.

„მიშაც შეპირდა ხალხს ასდოლარიან პენსიას და 9 წლის თავზეც ვერ შეასრულა. არადა, რა სულსწრაფები ჩანხართ, როცა საქმე ბიძინას დაპირებებს ეხება“...

„ნამდვილად პირველად ნახეთ პოლიტიკიდან წასული პოლიტიკოსი“?

„აქ რამდენიმე მომენტია: 1. თვითტკბობა. 2. საკუთრი მნიშვნელობის გაზვიადება. 3. მენტორის როლი 4. პოლიტიკის ანბანის უცოდინრობა. 5. მთავარი კი დაცემული რეპუტაციის გადარჩენაა. მიდის (თუ მიდის) იმიტომ, რომ რეპუტაცია საგრძნობლად შეერყა, დაეცა და კიდევ უფრო დაეცემა, რადგან ქვეყანა არ და ვერ იმართება, ეკონომიკა დასუსტდა და სულს ღაფავს, ქვეყნის ბიუჯეტის მდგომარეობა კატასტროფულია. არც ერთი დაპირება არ შესრულებულა. თუ რამე გაკეთდა, გაკეთდა ბიუჯეტის შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად და ფაქტობრივად შეარყია ქვეყნის კეთილდღეობა“.

„წინა პოლიტიკურმა გუნდმა შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომელიც, მიუხედავად ამჟამინდელი უვიცი მთავრობისა, განაგრძობს ფუნქციონირებას“.

ნატა ნიბლაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ყველამ ვიცით, რომ არჩევნები უსამართლო იყო და პარლამენტი არაადეკვატურია, მაგრამ არაფერი მსგავსი სამართლებრივ სიბრტყეში არ ფიქსირდება; იურიდიული საძირკველი საკითხის გადაწყვეტისთვის, უბრალოდ, არ არსებობს. ისმება კითხვა, რატომ? და მაინც თუ არ არსებობს, ხომ იდგა დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

ახლა რად დუმან?

● ვისაც გაინტერესებთ სად გაქრა სააკაშვილი, საიდუმლოდ გეტყვით, რომ ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში ჩადის ღამღამობით და ქვებს ისვრის.

● დავკარგე ოცნება.. მპოვნელი დასაჩუქრდება ახალი ოცნებით!

● ანდერს ფორ რასმუსსენი გილოცავთ NATO-ობას.

● აი, ხო ამბობთ, ბურჯანაძე ცხონებულ ირინა ენუქიძის წინაშე დამნაშავეაო (მეც ვამბობდი და ვამბობ)?! არანაკლებ დამნაშავეა ახლანდელი ხელისუფლება ჯამბულ გამცემლიძესთან, იური ვაზაგაშვილთან, ია მეტრეველთან და სხვა ჩახოცილი ახალგაზრდების ოჯახების წინაშე... როგორც მინიმუმი დონაძე ტელევიზიიდან არ უნდა დასცინოდეს გამწარებულ ოჯახებს და არ უნდა გვმოძღვრავდეს მამააბრამის ბატკანივით, ეს თქვენი სირცხვილია (შეცდომაც და დანაშაულიც).

● სააკაშვილმა ხომ აგვიშენა 100 საავადმყოფო, ჰოდა ახლა 100 ფაბრიკა-ქარხნის გათხრილი ფუნდამენტიც უპოვიათ ზეზვასა და მზიას გვერდით სამარხებში. ახლა დაშენება მიდის.

● მარტო ქართველები ვაშენებთ მუდმივად ერთ კაცზე ჩამოკიდებულ ქვეყანას, იმ კაცს ვაქცევთ „ბელადად“ და „ამონის ძედ“ და კაი ხნის მერე გვახსენდება რო „ამონის ძე“ უკვე ავტორიტარ „ოტად“ გადაქცეულა და რევოლუციებს ვუწყობთ თუუუუ ... ვინმემ კიდევ სხვა ქვეყანაც იცის ასეთი? ნუ, ყოველ შემთხვევაში მე ნახევარი მსოფლიო მოვიარე და მსგავსი არაფერი არსად არ მინახავს.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

რა შეიძლება მოჰყვეს ოთხთვიან ომს?

სანკტ-პეტერბურგში გამართულმა „დიდი ოცეულის“ სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის ზღვარგადასული ლტოლვა მსოფლიოს პირველობისთვის. „დიდი ოცეულის“ შეკრების უმთავრესი მიზანი არის მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკურ-საფინანსო ვითარების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ერთი წლის წინათ გამართული შეხვედრიდან მოყოლებული, ბოლო შეხვედრამდე, „დიდი ოცეულის“ თავმჯდომარეობა, თვით ოცეულის გადაწყვეტილებით, რუსეთს ჰქონდა მინდობილი. განვლილი ერთი წლის მანძილზე რუსეთი მოქმედებდა სამიტისთვის განსახილველი დღის წესრიგის განხორციელებისთვის.

მასპინძელი ქვეყანა, ოცეულის წევრებთან შეთანხმებით, ადგენს დღის წესრიგს და სამოქმედო გეგმას, ამასთანავე მთელი წლის განმავლობაში ორგანიზებას უკეთებს წევრი სახელმწიფოების ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების, საბანკო სისტემის, პროფკავშირების, ბიზნესის, ექსპერტების შეხვედრებს, თათბირებს, კონფერენციებს, რომლებზეც დეტალურად იხილება დღის წესრიგის საკითხები და „ოცეულის“ სამიტის მაგიდაზე იდება დახვეწილი მასალები - წინასწარ შეთანხმებული წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან. ამდენად, სამიტისთვის გამოყოფილი 2 დღე სრულიად საკმარისია აზრის გამოსათქმელად და დეკლარაციის მისაღებად.

სამიტი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში მონაწილე ქვეყნების ლიდერებს, როგორც ოცეულის წევრებს, ისე მოწვეული ქვეყნების ხელმძღვანელებს, შესაძლებლობა ეძლევათ, შეხვდნენ და ისაუბრონ ერთმანეთთან, გააფორმონ ორმხრივი ხელშეკრულებები და ა.შ. ამ მხრივ აღსანიშნავი იყო რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომლის მიხედვით, რუსეთი ბუნებრივ აირს მიაწვდის ჩინეთს.

როგორც ვთქვი, სამიტი არ იხილავს პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ სამიტში მონაწილეთა თხოვნით, პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა გაიმართა ოფიციალური ვახშმის მსვლელობის დროს.

მაინც რა საკითხის განხილვას მოითხოვდნენ სამიტში მონაწილე ქვეყნები? უპირველეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ სირიის. უკვე ორ თვეზე მეტია სირიის თემამ კულმინაციას მიაღწია. დასავლეთი, კერძოდ აშშ ბრალს სდებს სირიის პრეზიდენტს, ხელისუფლებას ქიმიური იარაღის გამოყენებაში და აცხადებს, რომ ამით სირიის ხელისუფლებამ გადალახა აშშ-ის მიერ დაწესებული „წითელი ხაზი“, რომლის იქით სირიის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სადამსჯელო სამხედრო ოპერაცია.

სირიის ხელისუფლება დაბეჯითებით აცხადებს, რომ მას არ გამოუყენებია ქიმიური იარაღი, ვინაიდან ასეთი აქტი არ ესაჭიროებოდა მრავალ მიზეზთა გამო. უპირველეს ყოვლისა, სირიის ხელისუფლება არასდროს გამოიყენებდა ქიმიურ იარაღს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, გარდა ამისა სირიის არმია შეტევაზეა გადასული და ისედაც ავიწროებს მეამბოხეებს.

საქმეში ჩახედულთათვის სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა გამოეყენებინა ბაშარ ასადს ქიმიური იარაღი მაშინ, როდესაც სირიაში იმყოფებოდა გაეროს სპეციალისტთა ჯგუფი ქალაქ ალეპოსთან ადრე გამოყენებული ქიმიური იარაღის შესასწავლად. აშშ-ის ადმინისტრაციას და ზოგიერთ მის ევროპელ მოკავშირეს სირიის ხელისუფლების განცხადება სიცრუედ მიაჩნიათ. ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის, სახელმწიფო მდივნის ქერის, თავდაცვის მდივნის ჰეიგელის საჯარო გამოსვლებმა ცეცხლი შეუნთეს ისედაც გახურებულ ობამას.

მკითხველისთვის ცნობილია რუსეთის, ჩინეთის, ირანის და სხვათა პოზიცია სირიასთან დაკავშირებით. ისინი მხარს უჭერენ მას და მიიჩნევენ, რომ სირიის ხელისუფლება არაფერ შუაშია, რომ ვაშინგტონისა და ზოგიერთი მისი მოკავშირის მტკიცება ცილისწამებაა და მეტი არაფერი.

სირიის დასჯის და დაცვის მსურველთა ბანაკების ვერბალურმა ომმა შეუძლებელი გახადა პუტინ-ობამას მოსკოვის მოლაპარაკების გამართვა, რომელიც „დიდი ოცეულის“, სანკტ-პეტერბურგის სამიტის წინ, 3-4 სექტემბერს უნდა შემდგარიყო. ობამას მოთხოვნით შეხვედრა ანულირებულ იქნა. გარდა ამისა, ეჭვქვეშ დადგა აშშ-ის პრეზიდენტის „დიდი ოცეულის“ შეხვედრაში მონაწილეობაც.

საბედნიეროდ, ობამა ჩავიდა სანკტ-პეტერბურგში, ხელიც ჩამოართვა პუტინს და ნახევარსაათიანი საუბარიც გამართა მასთან, რომელიც ორივე ლიდერმა კონსტრუქციულად ჩათვალა, თუმცა, ვერ მოხერხდა შეთანხმება. ობამა დარჩა თავის პოზიციაზე – სირიის წინააღმდეგ ძალის გამოყენება, პუტინი – ძალის გამოყენება დამღუპველი იქნება რეგიონისა და მსოფლიოსთვის. აღნიშნულ პოზიციას მხარი დაუჭირა სამიტში მონაწილე ქვეყნების დიდმა ნაწილმა.

5 სექტემბრის ვახშამი, რომელიც სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა, სირიის თემის განხილვის კრებად იქცა. ვახშამის სულისკვეთების დეტალური ინფორმაცია მსოფლიო საზოგადოებას ჯერაც არ მიუღია, იმედია მომავალში მიიღებს, თუმცა, მოკლედ, შექმნილი ვითარების შესახებ ჟურნალისტებს, პრესკონფერენციაზე სამიტის თავმჯდომარე პუტინმა გაანდო. მისი განცხადებით, ვახშმის მონაწილეთა უმრავლესობა შეეწინააღმდეგა აშშ-ის პოზიციას. აშშ-ის მხარეზე აღმოჩდნენ თურქეთი, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, კანადა.

პუტინმა ისიც განაცხადა, რომ მიიღო რომის პაპის ფრანცისკოს წერილი, რომელშიც მოწოდებაა პუტინისადმი, ყველაფერი იღონოს ომის შესაჩერებლად. მიუხედავად ამისა, აშშ-ის პრეზიდენტი ობამა მაინც თავისას ამტკიცებს. არის თუ არა ეს მტკიცება ინერციული ან საბოლოო, არავინ უწყისს.

მაგრამ საყურადღებოა ჯონ ქერის განცხადება, რომელიც მან სამიტის შემდეგ, პარიზში, ფრანგ კოლეგა როლან ფაბიუსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა – „პრეზიდენტს ჯერ არ მიუღია სირიაზე სამხედრო შეტევის გადაწყვეტილება“. არადა, ჩვენთვის ცნობილი იყო ობამას მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრება.

ქერის ნათქვამმა მცირედი იმედი გააჩინა – იქნებ არ დაიწყოს, თუმცა, ეს იმედი – წყალწაღებულისა და ხავსის ისტორიას უფრო ჰგავს... როგორც ჩანს, „დიდი ოცეულის“ პოზიციამ დააფიქრა პრეზიდენტი ობამა, მაგრამ გადაათქმევინა თუ არა გადაწყვეტილება, ძნელი სავარაუდოა. რაც თვალშისაცემია – საკუთარი პოზიციის სხვაზე თავსმოხვევაა. ქერის ვიზიტები საფრანგეთ-ლიტვაში და მისი შეხვედრა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებთან, ობამას შეხვედრები სენატორებთან და კონგრესმენებთან ამის დამადასტურებელია.

აშშ-ის პრეზიდენტის პოზიცია ბევრი ქვეყნის ლიდერისთვის მიუღებელია, ვინაიდან მას გამოუცნობი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მსოფლიო საზოგადოებისთვის გაუგებარია, ოთხი თვის განმავლობაში როგორ ფილიგრანულად უნდა დაბომბოს ობამამ ასადი, რომ მარტო მიიღო. გახსოვთ, მან თავი შეიკავა, რითაც მწვანე შუქი აუნთო ლიბიის განადგურებას.

აშშ-ის პოლიტიკოსები სისტემატურად გამოთქვამენ თავიანთ უკმაყოფილებას გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი ხუთი წევრი-ქვეყნის ვეტოს უფლებასთან დაკავშირებით. გაეროს დაარსების და მისი წესდების თაობაზე მსჯელობა თეირანის „სამეულის“ კონფერენციაზე გაიმართა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საბჭოთა კავშირი). ამ თემაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს იალტის კონფერენციაზე.

„ვეტოს საკითხი და გაეროს უშიშროების საბჭოს მუშაობის სხვა საკითხები, სრული გულახდილობის ვითარებაში, განიხილეს იალტის კონფერენციაზე. მამამ და სტალინმა მოიწონეს იდეა - „დიდი სამეულის“ მიერ ვეტოს დადების თაობაზე. მათი მოსაზრებით, მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ დიდი ქვეყნების ერთობლივი პოზიციის შემთხვევაში. თუ ორი წაეჩხუბება ერთმანეთს ან ერთი ირივეს, მსოფლიო საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. მხოლოდ მოქმედების და მიზნის ერთიანობას შეეძლება მსოფლიოს გადარჩენა.

ამ პროცედურასთან დაკავშირებული წინადადება მამამ შესთავაზა სტალინს და ჩერჩილს. მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღოს ეკონომიკური და სამხედრო სანქციები აგრესორის წინააღმდეგ. „დიდმა სამეულმა“, პლუს ჩინეთმა და საფრანგეთმა უნდა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება, თქვა მამამ“, – იხსენებს ელიოტ რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის შვილი.

როგორც ჩანს, რუზველტის მემკვიდრეებს აღარ აწყობთ იალტის ეს შეთანხმება, რომელიც თვით აშშ-ის პრეზიდენტის მიერ იყო წარდგენილი და არა სტალინის მიერ. ის, რომ სტალინი დაეთანხმა რუზველტის წინადადებას, მის სიბრძნეზე მეტყველებს.

უშიშროების საბჭოს ვეტომ არაერთხელ იხსნა მსოფლიო განსაცდელისგან. იყო შემთხვევები, როდესაც მან ვერ შეძლო ამის გაკეთება, მარტივი მიზეზის გამო – გვერდი აუარეს. უშიშროების საბჭოს უგულებელყოფის დიდოსტატია აშშ რითაც ის უსერიოზულეს ზიანს აყენებს ამ ორგანიზაციის პრესტიჟს.

უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, მიღებული ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ, საჭიროებს არა კრიტიკას იმ ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან, არამედ შესრულებას. სამწუხაროდ, ზოგიერთი ქვეყანა, აშშ-ის მიერ გათავხედებული, სისტემატურად არღვევს საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს.

გაუგონარი თავხედობით გამოირჩეოდა სააკაშვილის ხელისუფლებაც. გახსოვთ ალბათ, მინისტრ იაკობაშვილის ცინიკური განცხადებები – უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციებს არავინ ასრულებს და ჩვენ რატომ უნდა შევასრულოთო. წერონ და იკითხონო. და ამას ამბობდა არშემდგარი ქვეყნის მინისტრი, ცხადია აშშ-ის მხარდაჭერით და შეგულიანებით...

რა შეიძლება მოჰყვეს ახალ ომს? უპირველეს ყოვლისა – გამწარებული სირიის საჰაერო შეტევა ისრაელსა და თურქეთზე. თურქეთში ერთი ბომბის ჩავარდნაც საკმარისი იქნება ანტისამთავრობო, ფართომასშტაბიანი გამოსვლების რეანიმაციისთვის, რაც საბოლოო ჯამში ეგვიპტის შედეგს გამოიწვევს.

ისრაელზე დარტყმას უდავოდ მოჰყვება პასუხიც, როგორც სირიის, ისე ირანის მიმართულებით. არც ირანი დააყოვნებს.

ირანის სამხედრო მოქმედებაში ჩართვა ალბათ, გულისხმობს საომარი მოქმედებების ჩვენსკენ გადმოწევას, ვინაიდან კავკასია სწორედაც რომ მოსალოდნელი ფრონტის წინა ხაზზე იმყოფება.

რას მოიმოქმედებს რუსეთი? როგორც პუტინმა განაცხადა, დაეხმარება სირიას იარაღით და ა.შ. რუსეთის სამხედრო გემები სირიისკენ დაიძრა. ასეთ ვითარებაში ნებისმიერი ქვეყნის მხრიდან უმჯობესი იქნებოდა ამერიკისთვის არა მხარის დაჭერა, არამედ პირიქით, მხოლოდ ასეთ ქმედებას შეუძლია აშშ-ის და მსოფლიოს გადარჩენა.

საგალალოა საქართველოს ხელისუფლების განცხადება მხარდაჭერასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, მას ვერ გაუგია იმ საფრთხეების შესახებ, რაც სირიაზე თავდასხმას შეიძლება მოჰყვეს.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ალიან-ჩალიანი

ახალი სახელმძღვანელო შესაძლოა, ყველა მოსწავლემ ვერ მიიღოს

ბრსებული ინფორმაციით, ახალ სახელმძღვანელოებთან ერთად, სკოლებში დარიგდება ის წიგნებიც , რომლებიც სოციალურად დაუცველმა მოსწავლეებმა წინა წლებში უფასოდ მიიღეს, გამოიყენეს და სკოლას დაუბრუნეს.

აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროში დაუდასტურეს. როგორც უწყებაში განმარტავენ, წიგნების გადანაწილების დროს შესაძლოა, მოსწავლეს გამოყენებული, მაგრამ კარგად მოვლილი სახელმძღვანელო შეხვდეს.

სამინისტროში აცხადებენ, რომ ასეთი სახელმძღვანელოები მაღალი ქულით არის შეფასებული და ძალიან მცირე რაოდენობით დარიგდება.

გასულ წლებში სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს სახელმწიფო უფასოდ ურიგებდა, თუმცა სასწავლო წლის ბოლოს ისინი სკოლას წიგნებს უბრუნებდნენ. ყველა დანარჩენი მოსწავლისთვის კი, სახელმძღვანელოები ფასიანი იყო.

ამასთან, რაც შეეხება სახელმძღვანელოების ყველა მოსწავლისთვის უფასოდ დარიგებას, ამის შესახებ გადაწყვეტილება განათლების ყოფილმა მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა აპრილში მიიღო.

◎ სულიერება

აფხაზები დედაეკლესიის წიაღში ბრუნდებიან?

გასულ შაბათს მედიაკავშირ „ობიექტივის“ საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზი სამღვდელოება დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებას გეგმავს.

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, აფხაზმა ხალხმა კარგა ხანია იწვნია რუსული ჩექმის სიმძიმე და გააცნობიერა, რომ რუსეთი აფხაზთა გარუსების და სამღვდელოების დამონების პოლიტიკას ეწევა.

„ეს განსაკუთრებით დაეტყო აფხაზ სამღვდელოებას, რომელსაც რუსეთის ეკლესია დაეპატრონა. ისინი აიძულებენ მსახურებას რუსულ ენაზე, მღვდელმთავრებს უნიშნავენ მოსკოვიდან. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში არავითარ თავისუფლებასა და მით უმეტეს, ეროვნულობაზე საუბარი შეუძლებელია. ამ ვითარებაში აფხაზმა სამღვდელოებამ დაიწყო გზების ძიება, რათა თავი დააღწიოს რუსეთის ეკლესიას. გაჩნდა საქართველოს ეკლესიაში დაბრუნების მკაფიო აზრი, რასაც მხარს უჭერს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების რამდენიმე გავლენიანი პირი. მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები მსოფლიო პატრიარქთან. ამ მანევრის არსი ნათელია — მსოფლიო პატრიარქთან მოლაპარკების გზით რუსეთის კლანჭებიდან გაძრომა და საქართველოს ეკლესიაში დაბრუნება. აფხაზები მსოფლიო პაქტრიარქს ოფიციალურად სთხოვენ ავტოკეფალიას. ეს ერთგვარი ფარია, რომლის უკან ქართულ ეკლესიაში დაბრუნების გეგმაა, რადგანაც ყველამ იცის, რომ მსოფლიო პატრიარქი ამ თხოვნას არ დათანხმდება. ამავე წყაროს ცნობით, ერთ-ერთმა აფხაზმა ბერმა საზღვარი გადმოკვეთა და ახლა ქართულ მონასტერში იმყოფება. მოხერხდა ამ ბერთან დაკავშირება, რომელმაც დაადასტურა, რომ აფხაზი სამღვდელოების ეს გეგმა რეალურია და მიმდინარეობს მისი რეალიზება“, — აცხადებს წყარო.

გასული რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარე პროცესები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა, ამ ინფორმაციის დადასტურების საშუალებას იძლევა, მაგრამ სანამ უშუალოდ მოძიებულ მასალებს გაგაცნობთ, მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ.

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის შემდეგ, სამასი ათასზე მეტი ეთნიკური ქართველი და მათთან ერთად სამღვდელოებაც განდევნილ იქნა მშობლიური მხარიდან. აფხაზეთში დარჩა მხოლოდ ოთხი ეთნიკურად არაქართველი სასულიერო პირი: მღვდელი ბესარიონ აპლია (ეთნიკური აფხაზი), მღვდელი პავლე ხარჩენკო (უკრაინელი), დეკანოზი პეტრე სამსონოვი (რუსი) და მღვდელი ვიტალი გოლუბი (ასევე რუსი). ასეთ პირობებში რელიგიური მდგომარეობა საქართველოს ამ მხარეში ძალზე გართულდა, ხოლო კანონიკური მართვა-გამგეობის მხრივ, შეიძლება ითქვას, სრული ქაოსი ჩამოყალიბდა. დეიურედ აფხაზეთის ეპარქია დღემდე რჩება საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციის ქვეშ, ხოლო დე ფაქტოდ — ის ნაწილობრივ თვითმმართველობს, ნაწილობრივ კი რუსეთის საპატრიარქოს მაიკოპისა და ადიღეს ეპარქიის მიერ იმართება.

1993 წლის ბოლოს, ხსენებულმა ოთხმა სასულიერო პირმა აირჩია მღვდელი ბესარიონ აპლია სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის წარმომადგენლად დე ფაქტო ხელისუფლებასთან და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობებში. 1998 წელს იმავე პირებმა შექმნეს ე.წ. „ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის საბჭო“, მიიღეს ეპარქიის წესდება და მმართველად აირჩიეს მღვდელი ბესარიონი აპლია.

2008 წლის ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ცნობის შემდეგ იქ მოღვაწე სამღვდელოება გააქტიურდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისთვის ავტოკეფალიის მოსაპოვებლად, მაგრამ სასულიერო პირებში გაჩნდა განხეთქილება დამოუკიდებლობის გზების მოპოვების საკითხის გამო. ძველი თაობის სამღვდელოება, რომელსაც მღვდელი ბესარიონ აპლია ხელმძღვანელობს, პრორუსული ორიენტაციისაა, ხოლო ახალგაზრდები, მღვდელმონაზონ დოროთე დბარის მეთაურობით — პრობერძნული, კერძოდ კონსტანტინეპოლთან დაახლოების მომხრენი არიან. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ ეს ორი ბანაკი სპეციალურადაა შექმნილი აფხაზი სეპარატისტების მიერ იმ მიზნით, რომ ორივე საპატრიარქოსთან მოლაპარაკებებით, გამოიყენონ გარკვეული დაძაბულობა, რომელიც არსებობს მოსკოვსა და კონსტანტინეპოლს შორის და ან ერთისგან, ან მეორისგან მიიღონ ნაწილობრივი აღიარება მაინც.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ამავდროულად ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტიცაა, რასაც უდავოდ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული და ე.წ. აფხაზური ეკლესიების ურთიერთობაში და სწორედ უწმინდესის უზარმაზარი ავტორიტეტი ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს იმაში, რომ მიუხედავად პოლიტიკური ვითარებისა, რუსეთის საპატრიარქო არ ცნობს აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას და მას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში განიხილავს.

რაც შეეხება მედიაკავშირ „ობიექტივისთვის“ წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობის სავარაუდო ანალიზს, შეგვიძლია ვიმსჯელოთ მსოფლიო პატრიარქთან უწმინდესის 2013 წლის 22 მაისის ვიზიტის შემდეგ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყდნობით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ **„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მსოფლიო პატრიარქთან ბართლომეესთან ერთად სოხუმში ვიზიტით ჩავა“,** — ამის შესახებ ინფორმაციას „აფხაზეთი ინფო“ ავრცელებდა.

აღნიშნული განცხადება გამოცემამ უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის კონსტანტინოპოლში ვიზიტისას გაიკეთა.

„ყველა მართლმადიდებელი ეკლესია და მთელი მსოფლიო აფხაზეთს საქართველოს ეკლესიის შემადგენელ ნაწილად აღიარებს. ამას ყველა აღიარებს და ის საკითხები, რომლებიც აფხაზეთში არსებობს, ქართულმა ეკლესიამ და სინოდმა უნდა განიხილონ. ჩვენ შევთანხმდით, რომ ქართული ეკლესია გააკეთებს ყველაფერს, რათა სასულიერო პირები იქ ჩავიდნენ. ეკლესიის პრობლემები აფხაზეთში პოლიტიკური პრობლემების შედეგია. ეკლესიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა დამყარდეს. კონსტანტინოპოლი აფხაზეთში ქართული ეკლესიის იურისდიქციას აღიარებს. აღსანიშნავია, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიაც დღემდე იგივე პოზიციაზეა“, — ბრძანა ილია მეორემ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ საქართველოში მიმდინარე დაძაბული პოლიტიკური პროცესების დასრულების შემდეგ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია უფრო აქტიურად გააგრძელებს ამ მიმართულებით მოღვაწეობას და ძალიან მალე მივიღებთ იმ შედეგს, რასაც მთელი ოცი წელიწადია ველოდებით.

გია გაბრიჭიძე

◎ დავით ბაქრაძე ეკონომიკურ ტერმინებშიც ვერ ერკვევა!

ფუჭი ოცნებები ეკონომიკურ ამნისტიაზე

„ნაციმოძრაობა“ ბოლომდე ცდილობს, დაიცვას საკუთარი ბიზნეს-ინტერესები, ხოლო ხელისუფლება სულაც არ აპირებს, ამ ანკესზე წამოეგოს. ბოლო რამდენიმე თვეში პირველი შემთხვევა არ არის, როცა საპარლამენტო ოპოზიცია ეკონომიკური ამნისტიის თემას ააქტიურებს.

ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატს დავით ბაქრაძეს მოუწოდებს ეკონომიკურ ტერმინებში გაერკვეს.

„დავით ბაქრაძეს მინდა ვუთხრა, რომ გაერკვეს ტერმინებში, მათ შორის, ეკონომიკურ ტერმინებში. გარდა ამისა, თუ ეკონომიკური ამნისტია უნდოდა, ოთხი წელი იყო პარლამენტის თავმჯდომარე“, — განაცხადა ხადურმა.

რამდენიმე დღის წინ, „ნაციონალურმა მოძრობამ“ ხელისუფლებას ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობა კიდევ ერთხელ შესთავაზა. სპეციალურ პრესკონფერენციაზე „ნაცმოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამი ინიციატივა წარუდგინა. მათ შორისაა, ეკონომიკური ამნისტია.

ყოვლისმომცველი ეკონომიკური ამნისტია, რომელიც ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების ბიზნეს-ინტერესებზე იქნება მორგებული, არ განხორციელდება. ასეთი პოზიცია ახალმა მთავრობამ ადრეც დააფიქსირა და ახლაც იმავე აზრზეა. ეკონომიკის მინისტრისა და იმავდროულად ქვეყნის ვიცე-პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ეკონომიკურ ამნისტიას ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს.

ვიცე-პრემიერის განმარტებით, დავების საბჭო მოქალაქეთა განცხადებებს აქტიურად განიხილავს და ის, რომ გადაწყვეტილებების 68% გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ არის მიღებული, ამნისტიასთან ახლოა.

„ამ მოდელში დაცულია სამართლიანობის პრინციპები, რომელიც საშუალებას იძლევა, განაცხადები ინდივიდუალურ საწყისებზე განვიხილოთ. რაც შეეხება საუბარს იმაზე, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია, სრული პასუხისგებლობით ვაცხადებ — იმ ფონზე, როდესაც მოხდა ინფრასტრუქტურული პორტფელის გადასინჯვა და კაპიტალური ხარჯები გადავადდა, თუნდაც უმნიშვნელო ზრდაც კი ნიშნავს იმას, რომ ჯანსაღი ეკონომიკის განვითარება სერიოზული ტემპით მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში ძალიან კარგი შედეგები გვექნება“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრის შეფასებით, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის არანაირი ნიშანი არ არის, თუმცა ეს მთავრობას კმაყოფილებას არ ანიჭებს.

„იყო ხარვეზები მართვაში და ეს სწორდება. მათი დიდი ნაწილი უკვე აღმოფხვრილია, რაც გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში ძალიან სერიოზული დადებითი ტენდენციები გამოიკვეთება“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ეკონომიკური გუნდის პოზიციას ფრთხილად იზიარებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი. იგი არ უარყოფს, რომ ქვეყანაში ბოლო დროს არასტაბილურობის განცდა გაჩნდა, რაც ხელოვნურად იყო გამოწვეული. ასევე, 2013 წლის მარტამდე ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნაც იყო.

„შესრულდება საყოველთაო დაზღვევის პროგრამა და ასევე — სხვა სამთავრობო პროგრამები. გვქონდა ინფორმაცია, რომ ეკონომიკური კლება აღინიშნებოდა შარშან ივლისიდან და მიმდინარე წლის მარტის თვემდე და ეს ტენდენცია გრძელდებოდა. მარტიდან კი უკუპროცესი დაიწყო და ეკონომიკური ზრდა სახეზეა. პოლიტიკური არასტაბილურობის განცდა იყო ინვესტორებში და ჯერ კიდევ რჩება, თუმცა ძირითადი ბარიები გადალახულია“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

გაცილებით შემართულია ქვეყნის ფინანსთა მინისტრი. ნოდარ ხადური იმედოვნებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იქნება. **„მაშინაც კი, როდესაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, ვთქვი, რომ საქართველომ რთული პერიოდი გაიარა და აღმავლობის პროცესი დაიწყო, რასაც ადასტურებს ის მაჩვენებლები, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს - თუნდაც ივლისის. იმედი მაქვს, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იქნება“,** — განაცხადა მინისტრმა, რომელიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ეკონომიკური ზრდა მოხდება კერძო ბიზნესის გაჯანსაღების ხარჯზე.

გიორგი ბექაური

◎ აქცია ამერიკის საელჩოსთან

„ქალები მშვიდობისათვის“ მხარს სირიას უჭერს

6 სექტემბერს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღდგენის საინიციატივო ჯგუფმა ამერიკის საელჩოსთან გამართა ბაშარ ასადისა და სირიელი ხალხის მხარდამჭერი აქცია. აქციის მონაწილეებს ინგლისურ და ქართულ ენებზე გამოტანილი ჰქონდათ ტრანსპარანტები, „ხელები შორს სირიისგან“, „შეაჩერეთ სამხედრო ინტერვენცია სირიაში“, „შეწყდეს ინსპირირებული ომი სირიაში“.

როგორც აქციის ინიციატორმა ქალბატონმა ეთერ მგალობლიშვილმა აღნიშნა, უკვე ორი წელია, რაც ე.წ. მეამბოხეები ამერიკისა და ევროპის წაქეზებითა და მხარდაჭერით სირიის ხელისუფლებისა და სირიელი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებენ ომს, რამაც ათი ათასობით უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ სირიის ხელისუფლებასა და სირიელ ხალხს, რომელიც თავგანწირვით იბრძვის თავისი თვითმყოფადობისა და ღირსების დასაცავად. ჩვენ გვსურს, სირიაში ამერიკამ შეაჩეროს სამხედრო ინტერვენცია, რათა თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომის რეალური საფრთხე, რომელიც არა მარტო კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს მოუტანს სირიის მშვიდობიან მოსახლეობას, არამედ დამღუპველი იქნება მთელი კაცობრიობისთვის, განსაკუთრებით კი — საქართველოსთვის“, — აღნიშნა ეთერ მგალობლიშვილმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ აქციას — „ქალები მშვიდობისათვის“ აშშ-ის საელჩოს მხრიდან ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. სამხედრო პერანგებში გამოწყობილი ხელკეტიანი მამაკაცები, რომლებიც სავარაუდოდ საელჩოს დაცვას წარმოადგენდნენ, აგრესიულად მივარდნენ აქციის მონაწილეებს და მათ ტრანსპარანტების გაშლის საშუალებას არ აძლევდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა კი, ალბათ დაშინების მიზნით, ეთერ მგალობლიშვილს პირადობის მოწმობა მოსთხოვა, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა, რადგან ქალბატონ ეთერს არაფერი დაუშავებია, ის კანონის დაცვით, საკმაოდ მოშორებით იდგა საელჩოსგან. საელჩოს თანამშრომლებმა, ასევე გადაამეტეს თავიანთ უფლება-მოვალეობებს, როდესაც მათ აქციაზე მისულ ტელევიზიის „პირველი არხის“ გადამღებ ჯგუფს მუქარითა და ფიზიკური ზეწოლით ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში.

გამოდის, რომ ასეთი დემოკრატია სურს ამერიკას სირიასა და მთელ მსოფლიოშიც.

მურად ვარდანიძე.

ავტორის ფოტოები

◎ ფულს სუნი არ უდის

ნაციონალები ფულს ტუალეტებშიც აკეთებენ

საბაკაშვილის **თავის დროზე წამოყენებულ ინიციატივას ტურიზმის ქვეყნის პრიორიტეტულ დარგად წარმოჩინებას უმალ მოჰყვა ახალი სასტუმროების მშენებლობა. მაგრამ როგორც ყველა სხვა სფეროში, აქაც ყველაფერი ნაჩქარევად ხდებოდა. „ვარდოსნებს“ ავიწყდებოდათ მთავარი, კეთილმოუწყობელი გზები, წყალგაყვანილობა და რაც უმთავრესია მომსახურება — სერვისი. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სასტუმროთა უმეტესობაში მომსახურების საფასურში არ არის გათვალისწინებული პლაჟზე გასაშლელი შეზლონგების ღირებულება და სხვა. ამის გამო დამსვენებლებს თავადვე უწევთ მათი მოძებნა, ან პლაჟზე მოძებნაში მომსახურებაში ფულის გადახდა.**

თითქოს არ ღირდა საუბარი იმაზე, რომ დამსვენებლები და ტურისტები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ საკურორტო ზონებში საზოგადოებრივი ტუალეტების არ არსებობის გამო, მაგრამ როგორც გაირკვა აქ წინა ხელისუფლების ზოგიერთი ჩინოსანს საკუთარი ინტერესები გააჩნდა.

რაშია საქმე?

საზოგადოებრივი ტუალეტების აშენება ყოფილმა მთავრობამ 2011 წ. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ დაავალა. მისი ხელმძღვანელი ირაკლი კვაშილავა მაშინ აცხადებდა, **ქვეყანაში აშენდებოდა 50 ტუალეტი, რაშიც ბიუჯეტიდან 2,5 მლნ ლარი გამოიყოფოდა. კვაშილავასვე განმარტებით, ნაგებობები ყველა საკურორტო ქალაქებში აშენდებოდა და არსებულ ინფრასტრუქტურაზე მაქსიმალურად იქნებოდა მორგებული,** მაგრამ არამდგრადი ეკონომიკის სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გეგმები შეცვალა და გაცხადდა, რომ აშენდებოდა არა 50, არამედ 33 საპირფარეშო და ამისათვის ხაზინა 2,3 მლნ ლარს გამოყოფდა. შედარებისათვის თუ 17 ტუალეტი 200 ათასი ჯდებოდა რა საჭირო იყო საერთოდ ამხელა თანხების გამოყოფა.

მშენებლობისთვის ჩატარდა ტენდერი, რის შემდეგაც სამუშაოების ჩატარება 9 სამშენებლო კომპანიას დაეკისრა (მოგვიანებით „ოქტავ-მედია“ დისკვალიფიცირებული იქნა სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებისთვის და დააჯარიმეს კიდეც). როგორც „წყალმომარაგების კომპანიაში“ აცხადებენ, დღეისთვის სრულიად დამთავრებულია 12 ობიექტი და ისინი „კომპანიის“ ბალანსზეა აყვანილი. დანარჩენი 21 ობიექტის მშენებლობა დროებით შეჩერებულია და მათი მდებარეობის, კანალიზაციის სისტემებთან, წყლით მომარაგების ობიექტებთან საკმაოდ დაშორებულობის გამო, ამჯერად სახეზე გვაქვს ნაჩქარევი, წინასწარ განუსაზღვრელი ტიპიური ნაციონალური გადაწყვეტილება.

გამოჩნდა ახალი პრობლემაც. **„წყალმომარაგების კომპანიას არ სურს, რომ საზოგადოებრივი ტუალეტები მათ ბალანსზე იყოს, რადგანაც ეს მათი პროფილი არ არის და უმჯობესად მიაჩნიათ, რომ ობიექტები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაეცეთ“:** ამ მოსაზრებას იზიარებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებთან, ვინაიდან სწორედ მათი საბოლოო თანხმობაა საჭირო ამ ცვლილებების განსახორციელებლად.

საკურორტო ზონებში საპირფარეშოების აშენებას დადებითად აფასებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ზვიად კანდელაკი.** იგი თვლის რომ წინა მთავრობას ამ საკითხისათვის მაშინვე უნდა მოეკიდებინა ხელი, როდესაც მათ ტურიზმის განვითარება პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელეს, თუმცა, არც ეხლაა გვიან, მთავარია, გაკეთდეს — ასკვნის ექსპერტი.

თუმცა, მისთვის გაუგებარია, რატომ ჰყოფდა წინა ხელისუფლება საზოგადოებრივი ტუალეტების, 33 ასაშენებლად ბიუჯეტიდან 2,3 მლნ ლარს, როდესაც დღეს ერთი ორსართულიანი პატარა სახლის ასაშენებლად 40-50 ათასი ლარიც საკმარისია. გამოდის რომ ერთი 3-განყოფილებიანი ტუალეტის ასაშენებლად 70 ათასი ლარია საჭირო. გაკვირვებას ვერ მალავს ეკონომისტი.

როგორც სპეციალისტები ამბობენ საკაშვილის ხროვა იმდენად გაერთო ფულის კეთებით, საპირფარეშოების ბიზნესში, მათ ასაშენებელ ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებშიც ჩაჰყო ხელი.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

მტკვარი სკრელებს ვეღარ შეაშინებს

როგორც „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს, მინისტრმა დავით ნარმანიამ გორის რაიონის სოფელ სკრაში მიმდინარე ნაპირსამაგრი სამუშაოები დაათვალიერა. მდინარე მტკვრის კალაპოტის სანაპირო ზოლში ეწყობა 260 მეტრი სიგრძისა და 5720 კვ.მ მოცულობის ქვანაყარი ბერმა, რომელიც ეროზიულ მიწას ჩარეცხვისგან დაიცავს.

უწყების ინფორმაციით, სამუშაოები სოფლის მოსახლეობის კოლექტიური წერილის საფუძველზე დაიწყო. ვითარების შემოწმებით დადგინდა, რომ წყალმოვარდნების პერიოდში, ინტენსიურად ირეცხებოდა მდინარის მარჯვენა ნაპირი, სადაც საცხოვრებელი სახლები და ნაკვეთები მდებარეობდა. სოფლის მაცხოვრებლის, რუსუდან დოკაძის თქმით, კალაპოტიდან გადმოსული წყალი მთლიანად ტბორავდა დასახლებას, ანადგურებდა შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს, მოსავალს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი პროექტის გაგრძელებას არ გამორიცხავს.

— სკრის მოსახლეობას მნიშვნელოვანი პრობლემა უგვარდება, თუმცა, სოფლის მეორე ნაწილი ითხოვს, ანალოგიური ნაპირდაცვის პროექტი დამატებით მონაკვეთზეც გაგრძელდეს. ჩვენ შევისწავლით ამ საკითხს, მომავალი წლის პროექტების განაწილების დროს განვიხილავთ და, ალბათ, დადებითადაც გადავწყვეტთ, რადგან პრობლემა აუცილებლად ბოლომდე უნდა მოგვარდეს, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

◎ სარედაქციო ფოსტიდან

სახალხო სახალხოდ უნდა დარჩეს...

თბილისის რიტუალების სასახლის ფუნქციონირების განახლებასთან დაკავშირებით

სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება

1984 წლის 27 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში, საზეიმოდ გაიხსნა რიტუალების სასახლე, რომელიც წარმოადგენდა დედაქალაქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსშესანიშნაობას.

სასახლეში ხორციელდებოდა როგორც ქორწინების ცერემონიალები, აგრეთვე აღინიშნებოდა ვერცხლის და ოქროს ქორწინება, სხვადასხვა საიუბილეო თარიღები. გათვალისწინებული იყო ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული მრავალი სახის მომსახურება (რესტორანი, სპეციალიზირებული მაღაზია, ავტოტრანსპორტი და ა.შ.).

დედაქალაქის გარდა საქართველოს სხვა რეგიონებიდან რიტუალების სასახლეში დაქორწინების მსურველთათვის სასახლის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო სასტუმროს მშენებლობა. დღესდღეობით, სამწუხაროდ, რიტუალების სასახლე დარჩენილია თავისი ფუნქციის გარეშე.

სასახლის 30 წლის იუბილემდე დარჩენილია წელიწადზე მეტი დრო, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასახლის მფლობელების — ბ. პატარკაციშვილის ოჯახის წევრების სურვილის და მონდომების შემთხვევაში 2014 წლის ოქტომბერში მოხდეს რიტუალების სასახლის ფუნქციონირების განახლება. სხვა მოსაზრებებისგან განსხვავებით, ვთვლით რომ სწორედ კერძო მესაკუთრის მხრიდანაა შესაძლებელი ამის უზრუნველყოფა შესაბამის დონეზე.

მიგვაჩნია, რომ თუ სასახლის ტერიტორიაზე სასტუმროსთან ერთად, ჯვრისწერის რიტუალის განხორციელების მიზნით აგრეთვე აშენდება ეკლესიაც და ამოქმედდება მომსახურების სხვადასხვა ფორმები, კვალიფიციური მენეჯმენტის პირობებში საქმე გვექნება წარმატებულ ბიზნესთან.

ვიმედოვნებთ, რომ ბ. პატარკაციშვილის ოჯახის წევრები გაიზიარებენ ჩვენს მოსაზრებას. თუ მათ სასახლის ფუნქციონირების განახლების პირადი სურვილი არ გააჩნიათ, ალბათ, ისინი მოძებნიან გზებს ამ საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით — გასხვისება, იჯარით გადაცემა, მერიის მიერ საკუთრების გამოსყიდვა.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის, თბილისის რიტუალების სასახლის ამჟამინდელი უფუნქციო მდგომარეობაში ყოფნა ყოვლად დაუშვებელია.

თამაზ გაგუა,
ზაალ გენძეხაძე,
ჯემალ კუხალაშვილი,
ზაურ მესხიშვილი,
ბორის სარალიძე,
ზაურ ჩიტიძე.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო ცდილობს, მოიპოვოს სარგებელი სომხეთის დემარშიდან ევროკავშირთან დაკავშირების გამო

ერევანზე გაწბილებული ევროკავშირი ჩქარობს ხელი მოაწეროს შეთანხმებას თბილისთან ასოციაციის შესახებ

სომხეთის გადაწყვეტილება, შევიდეს საბაჟო კავშირში ევროკავშირში შეშფოთება გამოიწვია. რატომაც არა, ევროინტეგრაციის ფრიადოსანი ქვეყანა უცბად შემოტრიალდა აღმოსავლეთისკენ. საქართველოსთან დაკავშირებით ასეთი რამ ძნელად რომ მოხდეს. მაგრამ ბრიუსელმა გადაწყვიტა, არ წავიდეს რისკზე და დააჩქაროს თბილისთან ასოციაციის შესახებ ხელშეკრულების დადების პროცესი.

თავად საქართველოც, როგორც გამოირკვა, არ იყო წინააღმდეგი გამოეყენებინა სომხეთის დემარში თავის სასარგებლოდ. დეტალები ცნობილი გახდა ლატვიასა და ესტონეთში საქართველოს პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ოთხდღიანი ვიზიტის დროს, რომელიც 9 სექტემბერს დასრულდა. ნიშნული იყო მისი მოლაპარაკება რიგაში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან რადოსლავ სიკორსკისთან. მნიშვნელოვანი დეტალი: ამ შეხვედრას ადრე აფიშირებას არ უკეთებდნენ.

ამ კონსულტაციის შემდეგ პოლონეთის დიპლომატიის ხელმძღვანელმა გამოაცხადა, რომ „არსებობს გადაწყვეტილება საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შეთანხმების პარაფირების, არამედ მისი ხელმოწერის პროცესის დაჩქარების შესახებაც“. ადრე ელოდებოდნენ, რომ მისი პარაფირება მიხდებოდა 28-29 ნოემბერს ვილნიუსში „აღმოსავლური პარტნიორობის“ სამიტზე.

უკვე ესტონეთში ყოფნის დროს ივანიშვილმა ივარაუდა, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა შესაძლებელი გახდებოდა მომავალ გაზაფხულზე. შეგახსენებთ, რომ ევროკავშირმა უკვე გამოაცხადა, რომ არ აპირებს ასოციაციის და სომხეთთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების პარაფირებას, ვინაიდან ერევანი ემზადება, გახდეს საბაჟო კავშირის წევრი. საქართველოსთვის მთავარ დაბრკოლებად ითვლებოდა ზოგიერთი გავლენიანი დასავლელი პოლიტიკოსის განცხადებები, განსაკუთრებით ევროპის სახალხო პარტიის ხელმძღვანელებისა, პოლიტიკური ოპონენტების დევნის შესახებ. განსაკუთრებით მტკივნეულად „ხალხოსნები“ აღიქვამენ სააკაშვილისეული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის გენერალური მდივნის, ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნას, რომელსაც 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. სასამართლო პროცესი ოქტომბრისთვისაა გათვალისწინებული.

ბალტიისპირეთში ყოფნის დროს ივანიშვილმა, ეტყობა, იგრძნო მომენტის კონიუნქტურა, გააკეთა მთელი რიგი გაბედული განცხადებები. მან თქვა, რომ „მიუღებელია კონკრეტული ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსების კრიტიკა, თითქოს საქართველო ასცდა დასავლეთის გზას“. ხალხი და ხელისუფლება, მისი სიტყვებით, კარგად აღიქვამენ, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია — ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც „საშუალებას მისცემს ქვეყანას, ააგოს ევროპული ტიპის დემოკრატია“.

ამას გარდა, ევროპის ბიუროკრატია შეიძლებოდა შეეშფოთებინა ივანიშვილის განცხადებას თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც წინ უსწრებდა ბალტისპირეთის ტურნეს. პრემიერმა შეკითხვას საქართველოს და ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით უპასუხა: „რატომაც არა“. მეორე დღეს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ოპონენტების კრიტიკული თავდასხმების შემდეგ, ის გამოვიდა სპეციალური განცხადებით, რომლის შინაარსიც არის ის, რომ „ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი — ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანშია, მაგრამ თუ მომავალში საქართველოსთვის რაიმე იქნება უკეთესი, რატომაც არა“.

იმის შესახებ, რომ ერევანთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ თბილისს გაუჩნდა მეტი სივრცე მანევრებისა და პოლიტიკური ვაჭრობისა ევროკავშირთან, მოწმობს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სიტყვებიც.

— რახან შევასრულეთ ჩვენი საშინაო დავალება, ახლა გვჭირდება ზუსტი სიგნალი ევროკავშირიდან, რომ ჩვენც ისევე მნიშვნელოვანი ვართ მისთვის, როგორც ევროკავშირი ჩვენთვის, — განაცხადა მან. — ამას ველოდებით ვილნიუსში, ნოემბრის სამიტზე.

მისი სიტყვებით, საქართველომ დაიმსახურა, რომ მას განიხილავდნენ არა როგორც მეზობელს ევროპის ქვეყნებისთვის, არამედ, როგორც „ევროპელ მეზობელს“.

— ჩვენ გვჭირდება ზუსტი გზავნილი, რომ შეგვიძლია განგვიხილონ, როგორც ევროპული სახელმწიფო, — დაუმატა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

იმას, რომ სიტუაცია თბილისის სასარგებლოდ იცვლება, ეთანხმებიან ქართველი ექსპერტებიც.

— იგი შექმნის ახალ გამოწვევებს ქართული დიპლომატიისთვის. თუ როგორ გამოიყენებს საქართველო სომხურ დემარშს, დამოკიდებულია ჩვენი მხარის ელასტიურობაზე და კრეატივისადმი დამოკიდებულების უნარზე, — მიაჩნია დიპლომატიური აკადემიის რექტორს სოსო ცინცაძეს. — მე არ ვიჩქარებდი ეიფორიაში ჩავარდნას სიკორსკის განცხადებასთან დაკავშირებით. იგივე რომ ეთქვათ საფრანგეთში და გერმანიაში, ეს უფრო დიდი წონისა იქნებოდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, მისი აზრით, მხოლოდ ევროკავშირის ვილნიუსის სამიტი გვიჩვენებს, თუ „რეალურად რა ელოდებათ ქართველებს“. თუ საქართველო, საბოლოო ჯამში, ევროკავშირიდან მიიღებს იგივეს, რაც სომხეთმა, მაშინ რა აზრი აქვს ევროკავშირთან დაახლოებას?

მაგრამ, თუ ერევანს უარს ეტყვიან, ჩვენ კი გაგვიხსნიან პერსპექტივებს, მაშინ ეს იქნება დასავლეთის ცხადი სიგნალი: ფრთხილად იყავით რუსეთთან ინტეგრაციის თვალსაზრისით, — მიაჩნია მას.

— საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის სტრატეგია — ეს არის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა გადაწყვეტილება, რომელიც არ ექვემდებარება ცვლილებას მთავრობაში — განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ, — ჩვენ ვათვითცნობიერებთ, რომ ეს არის ხანგრძლივი დღის წესრიგი და მისი რეალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, ჩამოყალიბებასთან, რომელშიც კანონიერების პრინციპებზე ფუნქციონერებენ დემოკრატიული ინსტიტუტები.

ამასთან ერთად, ჯაფარიძის სიტყვებით, „ეს ყოველივე არ გამორიცხავს, რასაკვირველია, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ჩვენს ირგვლივ არსებულ სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა — რუსეთთან“.

— ურთიერთობათა ნორმალიზაცია ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ახალი მთავრობის პრიორიტეტია. მაგრამ ჩვენ ისიც გვესმის, რომ ესეც ხანგრძლივი პროცესია, — აღნიშნა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა.

უკანასკნელი ევროპული გამოცდა ვილნიუსში სამიტის წინ საქართველომ უნდა ჩააბაროს 27 ოქტომბერს პრეზიდენტის არჩევნებზე. მმართველი კოალიცია „ქართული ოცნება“ გვპირდება, გამართოს იგი უპრეცედენტოდ დემოკრატიულად. თუმცა, ოპონენტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დაბეჯითებით აცხადებენ, რომ კვლავ ავიწროვებენ მათ აქტივისტებს, განსაკუთრებით რეგიონებში.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე 52 კანდიდატმა დაასახელა თავი

შაბათს საქართველოში დამთავრდა 27 ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე განაცხადების შეტანა. გახდეს ქვეყნის მეთაური, მზადაა 52 კაცი. სხვათა შორის, გაფორმებულიყო კანდიდატად ყველამ ვერ შეძლო, რეალური ბრძოლა კი, სოციოლოგების აზრით, გაჩაღდება ორ მთავარ პრეტენდენტს შორის უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე.

შემოსული განაცხადებიდან 41 პრეტენდენტი წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიებს, 11 — საინიციატივო ჯგუფებს. ექვსს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უარი უთხრა რეგისტრაციაზე. სამ მათგანს — განაცხადის არასწორი გაფორმების გამო, და კიდევ სამმა მიიღო უარი იმისთვის, რომ აქვთ ორმაგი მოქალაქეობა. მათ რიცხვშია საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.

იმისთვის, რომ გაიაროს რეგისტრაცია პრეზიდენტობის კანდიდატობაზე და შეტანილ იქნეს კენჭისყრის ბიულეტენში, პრეტენდენტები ვალდებული არიან 17 სექტემბრამდე შეაგროვონ თავის მხარდასაჭერად 26530 ხელმოწერა. აუცილებელ ხელმოწერათა რაოდენობა იანგარიშება რთული სქემით იმ ამომრჩეველთა რიცხვის შესაბამისად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინა არჩევნებში. 27 სექტემბრამდე ცესკო შეამოწმებს ხელმოწერებს და მხოლოდ ამის შემდეგ გაატარებს რეგისტრაციაში პრეზიდენტობის კანდიდატებს.

ჯერჯერობით ყველა პროცედურა გაიარა და შეძლო ოფიციალურად დარეგისტრირება ოთხმა კანდიდატმა: მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გიორგი მარგველაშვილმა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა და აგრეთვე საინიციატივო ჯგუფებიდან — ნესტან კირთაძემ და დავით სალუაშვილმა.

სხვათა შორის, დანარჩენ პრეტენდენტებს აქვთ რამდენიმე დღე, რათა წარადგინონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხელმოწერათა სათანადო რაოდენობა. მათ შორის ყველაზე სერიოზულ პრეტენდენტებად ითვლებიან კანდიდატი პრეზიდენტის პარტიიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დავით ბაქრაძე და პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი ნინო ბურჯანაძე.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ისინი შეუქმნიან კონკურენციას კანდიდატს ხელისუფლების პარტიიდან. სოციოლოგიური სამსახურის „გორბის“ ხელმძღვანელის მერაბ ფაჩულიას აზრით, გიორგი მარგველაშვილს შეუძლია, გაიმარჯვოს პირველსავე ტურში — „თუ ხელისუფლება სწორად მოიქცევა“. „პროკურატურამ უნდა გააქტიურის ბრძოლა სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, — ამბობს ექსპერტი. — ხალხი დაინახავს, რომ სააკაშვილის გუნდს არანაირი შანსი არ გააჩნია და დავით ბაქრაძე ვერ შეძლებს გამოაცხადოს პრეტენზია მეორე ადგილზე, მარგველაშვილი კი გაიმარჯვებს პირველსავე ტურში. სხვათა შორის, სოციოლოგი დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატის გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში პრაქტიკულად გარდაუვალია.

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

ბალიზე კონკურსი „მის მსოფლიო“ გაიხსნა: პირველ ლამაზმანებს 100 შეიარაღებული პოლიციელი იცავდა

უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიღებული იქნა მასობრივი პროტესტების შემდეგ, რომლებმაც ინდონეზიას გადაუარა კონკურსის დაწყების წინა პერიოდში. გასულ კვირას მუსლიმანები ყოველდღე გამოდიოდნენ ინდონეზიის ქალაქების ქუჩებში მოთხოვნით — გააუქმონ „ამორალური“ კონკურსის მოწყობა, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს მათს კულტურულ და რელიგიურ ღირებულებებს.

გაერომ დაასახელა მსოფლიოს ყველაზე ბედნიერი ძვეყნები. ლიდერები არიან დანია და ნორვეგია

სიაში მესამე ადგილზეა შვეიცარია. პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ ნიდერლანდი, შვედეთი, კანადა, ფინეთი, ავსტრია, ისლანდია და ავსტრალია. მეთერთმეტე ადგილზეა ისრაელი. ამერიკის შეერთებული შტატები ოცეულში აღმოჩნდა. რუსეთი — 68-ე ადგილზე, გაუსწრო საბერძნეთს, ლიტვას, ესტონეთს, უკრაინას, ლატვიასა და აზერბაიჯანს. უკანასკნელ ადგილზეა ტოგო.

ჩინეთში სკოლის გვერდით გაისმა აფეთქების ხმა: არიან დაღუპულები და დაზარალებულები

ინციდენტი მოხდა 9 სექტემბრის დილის 8 საათზე პეკინის დროით ქალაქ გუილიმში დაწყებითი სკოლის კარებთან. ზოგიერთი მონაცემებით, აფეთქების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო მიტოვებული მოტოციკლი, რომელსაც ჯერ, უცნობი მიზეზებით, ცეცხლი გაუჩნდა, შემდეგ კი აფეთქდა.

ფლორიდის პლაჟებზე ზვიგენებმა დამსვენებლებს შეუტიეს პატარა სიღრმეში

დაზარალებულები არიან 20 და 40 წლის მამაკაცები. მტაცებლები თავს დაესხნენ ადამიანებს, როდესაც ისინი წყალში შედიოდგნენ და წყალი მუხლებამდე წვდებოდათ. მოცურავეებმა შეძლეს მათი გარეკვა, მაგრამ მამაკაცები გადაიყვანეს საავადმყოფოში ფეხის დაგლეჯილი ჭრილობებით. ფლორიდის შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიდერობს ზვიგენების ადამიანებზე თავდასხმის ოდენობით.

◎ ვარაუდი

რაში დახარჯავს ბიძინა ივანიშვილი საკუთარი კაპიტალის 90 პროცენტს?

„ისევე, როგორც ადრე, ამ ხარჯების 90% (შესაძლოა, 97%-98%-იც) საერთო საქმეზე იხარჯებოდა. არ მინდა, ვიხმარო სიტყვა „ქველმოქმედება“, რომელსაც ძალიან ფაქიზად ვეკიდები. ჩემი დარჩენილი კაპიტალის არანაკლებ 90%-ს, ისევ საერთო საქმეს მოვახმარ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 4 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კონკრეტულად რაში დახარჯავს საკუთარ მილიარდებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ამაზე შეკითხვა პირველად ივანიშვილს გამოცემა Bussines week-ის (Bloomberg-ის გამოცემა) ჟურნალისტმა დაუსვა, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სტატიაში ჟურნალისტმა ამის შესახებ არაფერი დაწერა.

ჩვენ დავინტერესდით, რას ნიშნავს საქართველოსნაირი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყანაში 5 მილიარდ დოლარამდე თანხის დახარჯვა და რომელი მიმართულებით იქნება სასურველი ამ თანხების განკარგვა. მით უფრო, რომ საქართველოში ძირითადი პრობლემა პროექტების სიმწირეა, სადაც ფინანსების ჩადება შეიძლება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, ვინაიდან კაპიტალი პირადად ბიძინა ივანიშვილისაა, იგი უფლებამოსილია, თანხები ისე განკარგოს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. თუმცა, რადგან პრემიერმა თქვა, რომ ამ თანხას მოახმარს საერთო საქმეს, ეს საერთო საქმე შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ბიზნესში ჩადებული კაპიტალი, ხოლო, მეორე მხრივ — საზოგადოებრივი ინსტიტუტების მშენებლობის საქმეში ჩადებული თანხები.

დემურ გიორხელიძისთვის ისიც ნათელია, რომ 5 მილიარდი ვერ გადაწყვეტს საქართველოს პრობლემას, რადგან ცივილიზებულ, კარგად მოწყობილ სახელმწიფოდ გადაქცევისთვის საქართველოს გაცილებით მეტი თანხა ესაჭიროება. თუმცა ცალსახად კარგია, თუკი 5 მილიარდამდე ფული საქართველოს კეთილდღეობას მოხმარდება.

„თუკი ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურად გაცხადებული კაპიტალის 90 %-ს უხეშად გამოთვლით, ზუსტად 5 მილიარდამდე გამოდის. ამიტომ, თუ პირველ 5 მილიარდს საქართველოს კეთილდღეობისთვის ჩადებს, მაშინ სხვა თანხებიც იოლად მოიძებნება. ეს შეიძლება იყოს პირველი ძალიან სერიოზული სტიმული იმისთვის, რომ საქართველო ფეხზე დადგეს. მერწმუნეთ, 10-ჯერ მეტი ფულია საჭირო საქართველოს რეფორმიზაციისთვის“, — აღნიშნავს დემურ გიორხელიძე.

ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივი ინსტიტუტების მშენებლობაში ბიძინა ივანიშვილის კაპიტალის ჩადებას, რადგან ამით გამოიდევნება ის ფული, რომელიც საზოგადოებრივი ინსტიტუტების მშენებლობაში გარკვეული უცხოური ორგანიზაციების მიერ მიზანმიმართულად და საკმაოდ დესტრუქციული მიზნით ტრიალებს.

ექსპერტის აზრით, საქართველოს საზოგადოებრივი სექტორი ქართული ბიზნესის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ჩვენი მოქალაქეების თანხებზე უნდა არსებობდეს და, არავითარ შემთხვევაში, გარედან არ უნდა ფინანსდებოდეს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლევან კალანდაძე იზიარებს იმ აზრს, რომ **პრემიერს არც არავინ უკონტროლებს და არც არავინ დაუდგენს რაიმე მორალურ სტანდარტს ამ ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით. თუმცა საკითხს სხვა მხარე აქვს, კერძოდ, ლევან კალანდაძეს აინტერესებს, რა ხარჯებზეა საუბარი, რადგან საქართველოს არც ერთმა მოქალაქემ არ იცის, ბიძინა ივანიშვილის შემოსავლები რისგან შედგება, რა ოდენობით არის და რა წყაროებიდან იღებს სათავეს. ამდენად, დეკლარირებული არაა, თუ რა ხარჯებს სწევს ივანიშვილი.**

შესაბამისად, ექსპერტის თქმით, როცა ვსაუბრობთ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაწეული ხარჯების 90%-ის ქვეყნის საჭიროებისთვის მოხმარებაზე, ეს ძალიან ზოგადი საუბარი გამოდის. თუმცა მისასალმებელია, როცა ბიზნესმენი, ამავე დროს, პრემიერი ცდილობს, საკუთარ ქვეყანაში საქველმოქმედო თუ გარკვეული სფეროების წამახალისებელი ან მასტიმულირებელი მიზნებისთვის ხარჯები გასწიოს.

„კაპიტალის 90% კარგად ჟღერს, პიარისთვის ეს კარგად გაყიდვადი თემაა, მაგრამ რეალურად, რა ხარჯების 90%-ია, ვერაფერს მოგახსენებთ; ასევე, ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია შემოსავლის მიღებისას ბიძინა ივანიშვილის საშემოსავლო გადასახადის შესახებ; რეალურად არ ვიცით, სად იხდის ბიძინა ივანიშვილი საშემოსავლო გადასახადს — საქართველოში, როგორც საქართველოს მოქალაქე, თუ საფრანგეთში, როგორც საფრანგეთის მოქალაქე. ასე რომ, მის ფინანსებთან დაკავშირებული თემები დახურულია“, — აღნიშნა ლევან კალანდაძემ ჩვენთან საუბრისას.

რაც შეეხება პრიორიტეტებს, თუ რა სფეროები უნდა მოიცვას ამ თანხებმა, ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ეს ძალიან ინდივიდუალურია და დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა იქნება მნიშვნელოვანი დროის იმ კონკრეტული მომენტისთვის. მით უფრო, რომ, თუ დღეს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაშია და პოლიტიკური ამბიციები აქვს, ხვალ არ იქნება პოლიტიკაში და პოლიტიკური ამბიციებიც აღარ ექნება. საქართველოში კი მას ფართო ბიზნესსაქმიანობა აქვს გაჩაღებული, აფუძნებს საინვესტიციო ფონდებს და, აქედან გამომდინარე, ლევან კალანდაძე არ გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამ საინვესტიციო ფონდებში მოიაზრებს თავისი 90 %-ის ჩადებას.

აქვე ექსპერტი განმარტავს, რომ ამ საინვესტიციო ფონდებში ჩასადები თანხები დასამადლებელი ან ნიშნით მოგებით სათქმელი არ არის, რადგან ეს არის ჩვეულებრივი ბიზნესოპერაცია და ამ თანხების მითვლა და მიწერა, რომ თურმე ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება, არასწორია.

„ეს ემსახურება ინვესტორის კეთილდღეობას და ინვესტორისთვის მოგების მიღებას. რაც შეეხება გარკვეულ საქველმოქმედო საქმიანობას, რასაც ივანიშვილი ახორციელებს, ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ეს ვერ დაინახოს. თუმცა, ისე სწრაფად იცვლება ქვეყანაში მოვლენები, რომ დღეს არსებული პრიორიტეტები შეიძლება, ხვალ უკვე აბსოლუტურად განსხვავებული იყოს; ისევე, როგორც განსხვავებული შეიძლება აღმოჩნდეს ის საჭიროებები, რაც მოქალაქე ბიძინა ივანიშვილს დღეს აქვს და ხვალ შესაძლოა, აბსოლუტურად სხვა იყოს“, — აცხადებს ექსპერტი.

მანანა ნოზაძე

◎ ფონდი

მთავარია, პროექტი იყოს მიმზიდველი, დაფინანსება იქნება

სახელმწიფოს მიერ დასახელებულ ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა ახლადშექმნილი დამოუკიდებელი საპარტნიორო ფონდის მთავარი ამოცანაა. მათ შორისაა, კერძოდ, სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, წარმოება, ასევე ინფრასტრუქტურა და უძრავი ქონება. ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანის წარმატებით შესრულებაზე, ცხადია, ძალიან სერიოზული ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი, ამიტომაც ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, ენერგეტიკისა და იუსტიციის მინისტრები, აგრეთვე რამდენიმე დიდი კომერციული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი.

ნებისმიერი ფონდის მოღვაწეობის წარმატების საწინდარი, რა თქმა უნდა, მისი ფინანსური შესაძლებლობები და, ბუნებრივია, მათი გონივრული ხარჯვაა. ამ მხრივ საპარტნიორო ფონდის მოღვაწეობის ფინანსურ საფუძველს მთლიანად სახელმწიფოს კუთვნილი რამდენიმე დიდი კომპანიის მიერ დაგროვილი სახსრები შეადგენს, რომელთა შორის, კერძოდ, არიან **„საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“, „საქართველოს ელექტროსისტემა“, ასევე სახელმწიფოს მიერ დაწესებული კომპანია „თელასის“ აქციათა 25 პროცენტი.**

აღსანიშნავია, რომ საპარტნიორო ფონდი პრიორიტეტულ სფეროებში წარდგენილი პროექტების დაფინანსებისას მინიმალური ზღვრის პრინციპით იხელმძღვანელებს, რომელიც ყველა დარგში 30 მილიონ ლარს შეადგენს, გარდა სოფლის მეურნეობისა, სადაც ეს თამასა 5 მილიონი ლარითაა განსაზღვრული. ამასთან, საპარტნიორო ფონდის პროექტების დაფინანსებაში საკუთარი სახსრებით მონაწილეობა მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 50 პროცენტისა იქნება, დანარჩენი თანხის გაღება კი ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორის საქმეა. თავად **პროექტის შერჩევის მთავარი კრიტერიუმები მათი ეკონომიკურ განვითარებაზე პოტენციური ზეგავლენა და კომერციული მიზანშეწონილობა იქნება.** მეტად მნიშვნელოვანია ასევე ის მომენტი, რომ ამა თუ იმ პროექტის წარმატებით დასრულებისა და ამოქმედების შემდგომ საპარტნიორო ფონდი კონკრეტული საქმით დაინტერესებულმა ინვესტორმა ჩაანაცვლოს, რაც მას სახსრების გამოთავისუფლებისა და სხვა პერსპექტიული ჩანაფიქრების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს. ამის მაგალითები უკვე არის და ეს მეტად კარგ პერსპექივებს წარმოაჩენს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში საპარტნიორო ფონდის მსგავსი ფონდების ფორმასთან და შინაარსთან თანხვედრაში მოსაყვანად საჭირო გახდა მის სუვერენულ ფონდად გარდაქმნა, რა პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მსოფლიო სავალუტო ფონდი და, მის სპეციალისტთა რეკომენდაციით, სუვერენული ფონდების შექმნაზე ორიენტირებული ცნობილი საკონსულტაციო კომპანიის „ლედ შმეტხის“ სპეციალისტები. ამ უკანასკნელთა კონსულტაციების გათვალისწინებით საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება მიმდინარეობს, თავად საპარტნიორო ფონდის ბაზაზე შექმნილი სუვერენული ფონდი საქმიანობას გაისად შეუდგება და მას დამოუკიდებელ დირექტორთა საბჭო მართავს, ხოლო მთავარი აქციონერი მთავრობა იქნება, რომლის წევრებით სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტდება.

ამ, ერთი შეხედვით არცთუ არსებული სახეცვლის არსი ისაა, **რომ სუვენრენული ფონდი უფრო სრულად პასუხობს კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპებს.**

სტრუქტურულად სუვერენული ფონდი სამ, კერძოდ, **სტრატეგიული განვითარების, სუვერენული აქტივებისა და ინოვაციების ფონდებს გააერთიანებს,** რაც სუვერენული აქტივებისა და პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების განცალკევებითაა განპირობებული. და მის იმუნიტეტს აამაღლებს.

რაც შეეხება საპარტნიორო ფონდის ამჟამინდელ საქმიანობასა, და სამომავლო გეგმებს, ხელმძღვანელი პრინციპების შესაბამისად, იგი უკვე გასულია ორი დასრულებული, კერძოდ, ახალციხეში და ყვარელში სასტუმრო-ინფრასტრუქტურული პროექტიდან, სადაც მას, შესაბამისად, სლოვაკეთის ვექსპორტ-იმპორტისა და ქართული თიბისი ბანკები ჩაენაცვლნენ. აქვე საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ **თუკი კონკრეტული პროექტი საქართველოს რომელიმე კომბანკისთვის მიმზიდველი აღმოჩნდება, საპარტნიორო ფონდი მას კონკურენციას არ გაუწევს.**

სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დასახულია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ევროპაში მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით მოწყობილი სოფ.კოდაში მეღორეობის დიდი ფერმის გამართვა, რომლის პროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაახლოებით მეოთხედს დააკმაყოფილებს, რაც პროდუქციის ფასს საგრძნობლად შეამცირებს. თურქეთის უდიდეს კომპანია „ჩალიკ გრუპთან“ ერთობლივად მუშაობა მიმდინარეობს გარდაბანში დღესდღეობით საქართველოში მოქმედ თბოელექტროსადგურებზე 50 პროცენტით უფრო მძლავრის პროექტზე, რომლის ღირებულება 200 მილიონი დოლარია. მუშავდება ასევე მდინარე ენგურის მთავარ შენაკადზე ნენსკრაზე 210 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. განხილვის სტადიაშია გახმაურებული ლაზიკის პროექტიც, რასთან დაკავშირებით საზღვაო-სანავსადგურო და გარემოზე ზეგავლენის შესასწავლად ინტენსიური კვლევები მიმდინარეობს.

გარდა აღნიშნულებისა, ყაზახ ინვესტორებთან და მსოფლიოში ცნობილი სასტუმრო ქსელის „რედისონის“ მფლობელ კომპანიასთან განიხილება დაბა ლიკანში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „რიკსოსისა“ და წინანდალში ასევე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „წინანდალი-რედისონის“ მშენებლობის პროექტები.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საპარტნიორო ფონდში სხვებზე მეტად, ძირითადად, სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ და ენერგეტიკულ პროექტებზე მუშაობენ, თუმცა აქტიური საქმიანობა სხვა პრიორიტეტული მიმართულებითაც მიმდინარეობს, რის შედეგს, იმედია, ახლო მომავალში ვიხილავთ.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ფეხბურთი

უნახავმა რა ნახა

საძართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საფრანგეთის გუნდთან „მუნდიალ-2014“-ის შესარჩევი ტურნირის მატჩი 0:0 დაასრულა.

თანამემამულეთა ღირსეულ თამაშსა და სასურველ შედეგს დანატრებულმა თაობამ ეს ქულა უდიდეს წარმატებად აღიქვა და საფინალო სასტვენის შემდეგ მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. მათ შევახსენებთ, რომ „ჯვაროსნებმა“ ანალოგიური ანგარიშით უკვე დაამთავრეს ერთ-ერთი შესარჩევი ციკლის შეხვედრა ასევე მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ იტალიასთან, სადაც ვარსკვლავებს მალდინის, ძოლას, ბაჯოსა და დონადონის კალიბრის ვარსკვლავები წყვეტდნენ, თუმცა მაშინ ასეთ ეიფორიაში არავინ ჩავარდნილა. ეტყობა, გულშემატკივართა თაობასთან ერთად ფასეულობები და გემოვნებაც იცვლება.

სხვათა შორის, თემურ ქეცბაიას შეგირდებმა შესვენების შემდეგ საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და 52-ე წუთზე კინაღამ დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ იღბალმა, უკვე მერამდენედ, ამჯერადაც გვაქცია ზურგი. მიდი და ნუ ირწმუნებ, რომ ფორტუნა ძლიერთა თანამგზავრია.

და ბოლოს: განსაკუთრებული მადლობა მეკარე გიორგი ლორიას და გუნდის კაპიტან ჯაბა კანკავას, რომლებიც გამორჩეულნი იყვნენ იმ საღამოს!

მორიგი შესარჩევი რაუნდის სრული შედეგები. ევროპა

I ჯგუფი. შოტლანდია – ბელგია 0:2, სერბეთი – ხორვატეთი 1:1, მაკედონია – უელსი 2:1.

ბელგია – 22, ხორვატეთი – 17, სერბეთი – 8, მაკედონია – 7, უელსი – 6, შოტლანდია – 5 ქულა.

დღეს ითამაშებენ: უელსი – სერბეთი, მაკედონია – შოტლანდია.

II ჯგუფი. იტალია – ბულგარეთი 1:0, ჩეხეთი – სომხეთი 1:2, მალტა – დანია 1:2.

იტალია – 17, ბულგარეთი – 10, სომხეთი, ჩეხეთი, დანია – 9-9, მალტა – 3 ქულა.

დღეს ითამაშებენ: იტალია – ჩეხეთი, სომხეთი – დანია, მალტა – ბულგარეთი.

III ჯგუფი. გერმანია – ავსტრია 3:0, ირლანდია – შვედეთი 1:2, ყაზახეთი – ფარერები 2:1.

გერმანია – 19, შვედეთი – 14, ავსტრია, ირლანდია – 11-11, ყაზახეთი – 4, ფარერები – 0 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ფარერები – გერმანია, ყაზახეთი – შვედეთი, ავსტრია – ირლანდია.

IV ჯგუფი. ესტონეთი – ჰოლანდია 2:2, თურქეთი – ანდორა 4:0, რუმინეთი – უნგრეთი 3:0.

ჰოლანდია – 19, რუმინეთი – 13, უნგრეთი – 11, თურქეთი – 10, ესტონეთი – 7, ანდორა – 0 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ანდორა – ჰოლანდია, რუმინეთი – თურქეთი, უნგრეთი – ესტონეთი.

V ჯგუფი. შვეიცარია – ისლანდია 4:4, ნორვეგია – კვიპროსი 2:0, სლოვენია – ალბანეთი 1:0.

შვეიცარია – 15, ნორვეგია – 11, ისლანდია, ალბანეთი – 10-10, სლოვენია – 9, კვიპროსი – 4 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ისლანდია – ალბანეთი, ნორვეგია – შვეიცარია, კვიპროსი – სლოვენია.

VI ჯგუფი. ჩრდ. ირლანდია – პორტუგალია 2:4, რუსეთი – ლუქსემბურგი 4:1, ისრაელი – აზერბაიჯანი 1:1.

პორტუგალია – 17, რუსეთი – 15, ისრაელი – 12, ჩრდ. ირლანდია – 6, აზერბაიჯანი – 5, ლუქსემბურგი – 3 ქულა.

დღეს ითამაშებენ: რუსეთი – ისრაელი, ლუქსემბურგი – ჩრდ. ირლანდია.

VII ჯგუფი. საქართველო – საფრანგეთი 0:0, ფინეთი – ესპანეთი 0:2.

ესპანეთი – 14, საფრანგეთი 11, ფინეთი – 6, საქართველო – 5, ბელარუსი – 4 ქულა.

დღეს ითამაშებენ: საქართველო – ფინეთი, ბელარუსი – საფრანგეთი.

VIII ჯგუფი. ბოსნია – სლოვაკეთი 0:1, ლატვია – ლიტვა 2:1, ლიხტენშტეინი – საბერძნეთი 0:1.

ბოსნია, საბერძნეთი – 16-16, სლოვაკეთი – 12, ლატვია – 7, ლიტვა – 5, ლიხტენშტეინი – 2 ქულა.

დღეს ითამაშებენ: საბერძნეთი – ლატვია, სლოვაკეთი – ბოსნია, ლიტვა – ლიხტენშტეინი.

IX ჯგუფი. ინგლისი – მოლდოვა 5:0, პოლონეთი – მონტენეგრო 1:1, უკრაინა – სან-მარინო 9:0.

ინგლისი, მონტენეგრო – 15-15, უკრაინა – 11, პოლონეთი – 10, მოლდოვა – 5, სან-მარინო – 0 ქულა.

დღეს ითამაშებენ: უკრაინა – ინგლისი, სან-მარინო – პოლონეთი.

* * *

სამხრეთ ამერიკა. ჩილე – ვენესუელა 1:0, პარაგვაი – ბოლივია 4:1, კოლუმბია – ეკვადორი 2:0, პერუ – ურუგვაი 1:2.

არგენტინა, კოლუმბია – 26-26, ჩილე – 24, ეკვადორი – 21, ურუგვაი – 19, ვენესუელა – 16, პერუ – 14, პარაგვაი – 11, ბოლივია – 10 ქულა.

დღეს ითამაშებენ: ურუგვაი – კოლუმბია, ბოლივია – ეკვადორი, პარაგვაი – არგენტინა, ვენესუელა – პერუ.

გია პლატონიშვილი

◎ კალათბურთი

სწავლა მოსწავლეთა

მას შემდეგ, რაც ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა დაზუსტდა, შეგუებულნი ვიყავით, რომ მთელი სიმძიმე საქართველოს ნაკრების შემადგენლობის ნახევარზე გადაივლიდა, ეს კი ავტომატურად ნიშნავდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსების დეფიციტსა და ჯგუფური რაუნდის ფინიშზე სრულ გამოფიტვას.

სამწუხაროდ, მოლოდინი გამართლდა. მე თუ მკითხავთ, ფაჩულიასა და შენგელიას არყოფნაში ისიც კი გასაკვირი გახლდათ, რომ „ჯვაროსნებმა“ ტოლ-სწორი ბრძოლა გაუმართეს ხორვატებსა და მასპინძლებს. დარწმუნებული ვარ, ამ ორი მატჩიდან ერთ-ერთის მოგება ბიჭებს მეორე სუნთქვას გაუხსნიდა და, ვინ იცის, იქნებ ჩეხებთან „გაგვესროლა“ კიდეც, რაც მეორე ეტაპზე გასვლის შანსს შეგვინარჩუნებდა.

რაც შეეხება კონტინენტური ფორუმის უმთავრეს ფავორიტ ესპანელებთან გუშინდელ გედის სიმღერას, მასში თავიდანვე განწირულნი ვიყავით, მით უმეტეს მაშინ, როცა გაირკვა, რომ ამჯერად ვერც მარკოიშვილი ითამაშებდა. ასე რომ, პირველ პერიოდში მიღწეული ფრე – 17:17 იგორ კოკოშკოვის შეგირდებს საგმირო საქმედ შეგვიძლია შევუფასოთ.

ასეა თუ ისე, „სლოვენია-2013“ ჩვენებურთათვის კრახითა და იმის სურვილით დასრულდა, რომ მომავალ საერთაშორისო ბატალიებს მეტად განსწავლულნი შევხვდეთ, საამისოდ კი, ვფიქრობ, მოვიდა დრო, ქართული კალათბურთისა და თვით გუნდის მმართველ შტაბში საფუძვლიანი ცვლილებები განხორციელდეს.

ჩეხეთი – საქართველო 95:79, ესპანეთი – საქართველო 83:59.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

სერენას მეჩვიდმეტე სადიდსლემო ტრიუმფი და სარეკორდო საპრიზო თანხა

აშშ-ის ღია პირველობის ქალთა ერთეულთა ტურნირის ფინალში ერთმანეთის წინაშე რიტინგსიის პირველი და მეორე ნომრები, სერენა უილიამსი და ვიქტორია აზარენკა წარსდგნენ, რომელთა მატჩმა მოლოდინისამებრ ოსტატურად, საინტერესოდ ჩაიარა. საბოლოოდ ამერიკელმა ბელარუსის დამარცხება მოახერხა (7:5, 6:7, 6:1), თავისი მეჩვიდმეტე სადიდსლემო შეჯიბრება მოიგო და რეკორდულ საპრიზო თანხასაც გამოჰკრა ხელი. 31 წლის სერენა ნიუ იორკში მოპოვებული ტრიუმფის შემდეგ 3 მილიონ 600000 დოლარს მიიღებს. საჩემპიონო ტიტულის მოპოვებისთვის უილიამს-უმცროსმა 2 მილიონ 600000 დოლარი დაიმსახურა, მილიონი კი მას პრემიის სახით US Open Series-ს მოგებისთვის დაუმატეს.

სერენასა და აზარენკას ფინალმა 2 საათსა და 45 წუთს გასტანა. 2 მეტად დაძაბული სეტის შემდეგ მესამე პარტიაში 31 წლის უილიამსმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, ამერიკის ღია პირველობის საჩემპიონო ტიტულიც შეინარჩუნა (წინა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩშიც ეს მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს) და აზარენკასთან პირადი შეხვედრების ანგარიში 13:3 გახადა. ფინალური ასპარეზობის მსვლელობისას სერენამ 2 ბრეიკი და 9 ეისი შეასრულა. უილიამს-უმცროსმა მეხუთედ შეძლო აშშ-ის ღია პირველობის მოგება.

გადამწყვეტი მატჩის დასრულების შემდეგ გახარებულმა სერენამ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „როდესაც ტიტულის დასაცავად გადიხარ კორტზე, ყოველთვის დაძაბულად გამოიყურები. თუმცა, ამჯერად საკუთარ თავს ვაჯობე – იმდენად მოტივირებული ვიყავი გამარჯვების მოპოვების სურვილით, რომ ყველაფერმა მეორე პლანზე გადაიწია. ვიკა ბრწყინვალე ჩოგბურთელია, რომელიც ყოველთვის ბოლომდე იბრძვის. 2 სეტით მოგება მინდოდა, მაგრამ ამჯერად ეს შეუძლებელი შეიქნა. თავს მშვენივრად ვგრძნობ და ასაკს ყურადღებას არ ვაქცევ. წლეულს „როლან გაროსი“ მოვიგე, სხვა სადიდსლემო ტურნირებზე გამოსვლით კი უკმაყოფილო ვიყავი. ნიუ იორკში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თავს ბედნიერად ვგრძნობ“.

გიორგი შოთაძე

◎ ოლიმპიზმი

ტოკიო და ჭიდაობა – სოკ-ის რჩეულნი

ბუენოს-აირესში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესიაზე სამი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი: 2020 წლის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის დასახელება, ამ ოლიმპიადის პროგრამის დამტკიცება და სოკ-ის პრეზიდენტის არჩევნები.

32-ე თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას სამი ქალაქი შემორჩა: ტოკიო, სტამბოლი და მადრიდი. თითოეულს თავისი პლუსები და მინუსები ჰქონდა. იაპონიის დედაქალაქს 2016 წლის ოლიმპიადის ჩატარებაც სურდა, მაგრამ მაშინ მადრიდთან და რიო დე ჟანეიროსთან წააგო. არადა, ტოკიოს ძლიერი მხარე ის არის, რომ კომპაქტურად არის განლაგებული ოლიმპიური ობიექტები, რომლებიც ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. საგულისხმოა ისიც, რომ 2019 წელს იაპონიაში მორაგბეთა მსოფლიოს თასი გათამაშდება. თანაც ამომავალი მზის ქვეყანამ შორეულ 1964 წელს შესანიშნავად უმასპინძლა ზაფხულის, ხოლო 1998 წელს ნაგანოში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს. ყოველივეს მიუხედავად, არჩევნების პირველ რაუნდში გამარჯვებას ვერც ერთმა ქალაქმა ვერ მიაღწია: ტოკიომ 42 ხმა მიიღო, მადრიდმა და სტამბოლმა – 26-26. დამატებითი კენჭისყრით არჩევნების მე-2 ეტაპზე სტამბოლი გავიდა. მადრიდის მარცხს რეალური საფუძვლები ჰქონდა, კერძოდ, ის, რომ ესპანეთში უმუშევრობა 27 პროცენტს აღწევს, თან საგარეო ვალის რაოდენობით მსოფლიოში მე-7 ადგილზე იმყოფება, რაც ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად მყარ ფინანსურ გარანტიებს ვერ იძლევა. ამას ემატება ბასკი ტერორისტებისა და კატალონიელი სეპარატისტებისგან მოსალოდნელი პროვოკაციები.



მეორე რაუნდში ტოკიომ გაიმარჯვა 60 ხმით 36-ის წინააღმდეგ და 2020 წლის ოლიმპიადას უმასპინძლებს. არადა, თურქები საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს სახელმწიფოსგან უდიდეს მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ. ამ ფაქტის დასადასტურებლად ბუენოს-აირესში თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოღანიც კი ჩავიდა. დამარცხების უპირველესი მიზეზი თურქეთის რთული საგარეო პოლიტიკა გახდა: ამ ქვეყანას არცთუ სასიამოვნო ურთიერთობა აქვს სომხეთთან, საბერძნეთთან, ისრაელთან, ამასთანავე, თურქები მხარს უჭერენ სირიაში სამხედრო აგრესიას, ქვეყნის შიგნით მოგვარებული არ არის ქურთების პრობლემა.

სესიამ არჩევანი გააკეთა ტოკიოს ოლიმპიადის პროგრამაში შესატან სპორტის სამ სახეობას შორის: შვიდთვიანი ნერვიულობის შემდეგ შვებით ამოისუნთქეს ჭიდაობის მოყვარულებმა – სესიის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ოლიმპიურ პროგრამაში ოლიმპიადების ძირძველი სახეობის – ჭიდაობის დაბრუნებას. ფალავანთა სასარგებლოდ 104 დელეგატიდან ხმა 49-მ მისცა. სქვოში და ბეისბოლ-სოფტბოლი თამაშგარე აღმოჩნდა.

ლექსო ცინცაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

სიცოცხლის ენერგია — შელეული ქვეყნის ენერგეტიკას

მე შორიდან ვიცნობდი იური ჭედიას, ჩვენი მეგობრის, ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, „ძველი ენგურჰესელის“ ანზორ ჭითანავას მონაყოლით ვიცნობდი.

თითქმის განუმეორებელია ის ღვაწლი, რაც იური ჭედიამ დასდო ქართული ენერგეტიკის განვითარებას, მშობლიური საქართველოს კიდით-კიდემდე „განათებას“, მსოფლიო ბაზარზე „ქართული დენის“ გატანას. მას აღიარებდნენ ქართული ენერგეტიკის მამად, შეუდარებელ ხელმძღვანელად, სიკეთითა და ეროვნული მუხტით აღსავსე პიროვნებად, ურომლისოდაც ქართველი ენერგეტიკოსები წელს, პირველად აღნიშნავენ ენერგეტიკოსთა პროფესიულ დღესასწაულს.

აბა, ჩვენს ძვირფას **ანზორ ბაბუხადიას** — ცნობილ ეკონომისტსა და პუბლიცისტს, გაზეთ **„თანადგომის“** რედაქტორ-გამომცემელს გამორჩებოდა ეს დღე? ბატონ იური ჭედიას ხსოვნის დღე? და, აკი, გაზეთ „თანადგომის“ ეს ნომერი სწორედაც დიდი ქართველი ენერგეტიკოსის ხსოვნას მიუძღვნა.

მის პირველ გვერდზე ენერგეტიკოსებს თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს ულოცავს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლევან მებონია, სადაც იგი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ დღესასწაულს ვერ ესწრება იური ჭედია. შემდეგ კი მთელი გაზეთი იური ჭედიას მოსაგონარს აქვს დათმობილი. აქ, ბატონები: რევაზ არველაძე, ანზორ ჭითანავა, ვალერი კანკია, ალფეზ

შელია, რევო მშვიდობაძე, დავით არაბული, და ომარ ხელაძე საუბრობენ ბატონი იური ჭედიას დიდ ღვაწლზე ქართული ენერგეტიკის წინაშე, აღნიშნავენ, რომ სწორედ ასეთმა ქართველებმა მოიყვანეს ჩვენი სამშობლო დღემდე.

რაც მართალია, მართალია.

როცა კართან პოეტი დგას...

75 წლის იურისტი, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს შეიარაღებული ძალების ვეტერანი, ჩვენი რედაქციაში მოსული ლადო აბულაძე, — **ზარის ხმაზე კარი გამოვაღე და ვხედავ, შემოსასვლელთან ორი ბიჭი დგას.** ზრდილობიანად, მორიდებით მომესალმნენ, მომიბოდიშეს... ერთს ხელში ფერადი წიგნი რომ დავუნახე, ვიფიქრე, ესენი „იეღოველები“ ხომ არ არიან-მეთქი...

ბიჭმა, რომელსაც ხელში წიგნი ეჭირა, დამასწრო, გვაპატიეთ, ბატონო ლადო, თქვენთან მეზობლებმა მოგვასწავლეს, მეც აქვე ვცხოვრობ, ჩემი ლექსების წიგნი გამოვიდა და ხომ არ შეიძენთო...

შემოვიპატიჟე ბიჭები სახლში, ჩამოვსხედით, ვისაუბრეთ... **თორნიკე მამნიაშვილი** წარმოშობით დუშელია, ხოლო **„მე ქართველი ვარ“** მისი ლექსების პირველი კრებულია, რომელსაც იგი ახლობლებში, ასე ვთქვათ „ასაღებს“, რომ გამოცემის ხარჯები დაფაროს... ჰოდა, მეც მომადგა... შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, ჩემი აზრით, შესანიშნავი, ღრმააზროვანია ეს ლექსებიც... რაკი შემატყვეს წიგნით და პიროვნებით დაინტერესება, თორნიკემ, მე გჩუქნით ჩემს წიგნს, ბატონო ლადო და გულთბილად წამიწერა კიდეც ზედ.

ვიფიქრე, მივალ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემს მეგობრებთან და თორნიკეს ლექსებით მოგვრილ სიხარულს გავუზიარებ მათ-მეთქი... დანარჩენი თქვენ იცით... ნახეთ!..

ვნახეთ, ჩვენო ლადო... თორნიკე მამნიაშვილი მართლაც ნიჭიერი კაცი ჩანს... წეროს.. ღმერთმა ხელი მოუმართოს. მკითხველს კი კრებულიდან მისი **„ფიქრები“** გავანდოთ:

ფიქრობდა იგი გარინდებული, დადუმებული,
ბავშვურ გრძნობებში გაქვავებული და
დამწყვდეული,
სითბოს, ალერსს მონატრებული, დაფეთებული...
და დადიოდა ამ ქვეყანაზე ერთი ეული —
უსახო და უიარაღო ალალი კაცი
და მის ოცნებებს ამონებდნენ უიარაღოდ,
შეშლილი სახით ეძებდა ნათელს გულგახეხილი,
და მის ოცნებებს კლავდა ვიღაც უიარაღოდ.

„ისტორიაში ხმაურით შესვლას, სჯობს დამშვიდებით შეხვიდე სახლში“

მდა�ა... ორმოცდაათ კაცს გადასცილდა სამშობლოზე უზომოდ მოფიქრალი, სამშობლოს ბედზე უსაშველოდ გულდამძიმებული პრეზიდენტობის მაძიებელთა სია. არ არის ეს „გინესის წიგნში“ შესატანი მოვლენა?! არა, მე გადაგარჩენ, ჩემო სამშობლოო!... არა, მე გიშველი, ჩემო ხალხოო!.. კარგით, ვთქვათ, რამდენიმე ცნობილ პოლიტიკოსს, პრეზიდენტობის კანდიდატს, ამჯერადაც დავუჯერეთ ეს ცნობილი ბრახა-ბრუხი, მაგრამ დანარჩენებს რისი იმედი გაქვთ?!

ამ რამდენიმე დღის წინათ, ერთ ჩემს ნაცნობს, ამ თემაზე რომ ჩამოვუგდე სიტყვა, იცით რა მითხრა? მაგათ, გენაცვალე, „დაჟე“, „მაყუთს“ უხდის სახელმწიფო, საარჩევნო კამპანიის წარმართვისთვისო... ე, ბიჭო, მიშველე რაღაცა, მეც მივიღებ მონაწილეობას, უფულო მე რომ ვარ, ისეთი უნდა-მეთქი... ვიცინეთ გვარიანად... ეეე... კი გვაქვს საქმე სასაცილოდ... ეტყობა, სწორედ ამ ამბიციის ხალხზე ხუმრობს თავისებურად, ნიჭიერად ჩვენი ცხონებული ზაურ ბოლქვაძე, როდესაც წერს: **„ისტორიაში ხმაურით შესვლას, სჯობს დამშვიდებით შეხვიდე სახლში“**. მაგრამ, სამშობლოს უკეთეს მომავალზე ვინ იფიქროს მაშინ?!

„გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?“

არც ერთი გამოგონილი სიტყვა, ამ ფაქტს გუშინწინ შევესწარი ვერისუბანში: ხილ-ბოსტნეულის მარკეტში რომ შევედი, ვხედავ, დახლზე ნ-6 წლის ბიჭუნა დგას, ხელში შავქლიავათ სავსე პატარა კალათა უჭირავს და სხაპასხუპით ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღვთისაგან სვიანი!“ გამყიდველები და მყიდველი ქალბატონები (ეტყობა, სამეზობლოა) გაბრწყინებული თვალებით შესცქერიან ბიჭუნას, თან იქვე მდგომი შუახნის მამაკაცის გასაგონად ამბობენ:

— ეს ვინ ყოფილა, ხალხო!.. კი ამბობდა ციალა... რა ლექსები სცოდნია!..

ლექსი რომ დაამთავრა, მამაკაცი (ეტყობა, ბაბუა) ღიმილით მიმართავს ბიჭუნას:

— ნიკუშა, რა გიყრია კალათში, ბაბუ?!

ნიკუშას ეშმაკები უდგას თვალებში: — შავქლიავა!

— აბა, თქვი, რას წერს გალაკტიონ ტაბიძე შავქლიავაზე?

ნიკუშა ცოტა ხანს ყოვნდება, მსმენელებს გვათვალიერებს.

— მიდი ბაბუ! — აქეზებს მამაკაცი.

— ოღონდ, ქლიავს საზამთროც მიუმატე! — „ქრთამს“ თხოვს გადაბადრული ნიკუშა ბაბუას.

— აბა, როგორ!

და აწკრიალდა ბიჭუნა:

„საღამოს ბინდები, ვით ქროლვა ნიავის,
მიდამოს სდებია,
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეგ ჩემი სამშობლოს მთებია!“

ტაშისცემა, შეძახილები მარკეტში: — გაიხარე ბებო, გაეზარდე შენს მშობლებს, ბებო!..

ცხადია, მეც ვუკრავ ტაშს, თანაც ცრემლმორეული.

ვილენ მარდალეიშვილი

◎ რამპა

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 162-ე თეატრალურ სეზონს ხსნის

16 სექტემბერს 19 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 162-ე თეატრალურ სეზონს გახსნის.

მრავალწლიანი ტრადიცია არც ამჯერად დაირღვევა და ოპერის კოლექტივი პირველად ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მოსასმენად მიიწვევს აუდიტორიას (ამჯერად, მსმენელები ქართულ კლასიკურ ოპერას საკონცერტო შესრულებით მოისმენენ).

„აბესალომ და ეთერს“ შეასრულებენ მომღერლები: თეიმურაზ გუგუშვილი (აბესალომი), ხათუნა ჭოხონელიძე (ეთერი), სულხან გველესიანი (მურმანი), მარიკა მაჩიტიძე (მარიხი), ირინე ალექსიძე (ნათელა), გია ასათიანი (აბიო მეფე), თამაზ საგინაძე (თანდარუხი), ბაჩანა წირქვაძე (სტუმარი), ელენე ჯანჯალია (ნაანა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (მსახურთუხუცესი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე) და სიმფონიური ორკესტრი. ოპერა რევაზ ტაკიძის დირიჟორობით აჟღერდება.

„აბესალომ და ეთერი“ შესრულდება თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ეპიტაფია

გიორგი გვარმიანი

72 წლის ასაკში, ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, გარდაიცვალა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ოპერატიული მიმართულება „კოდორის ხეობის“ სარდლის მოადგილე, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მედლის კავალერი გიორგი გვარმიანი.

მტრული ძალების მიერ აფხაზეთის რეგიონში თავსმოხვეულ საბრძოლო მოქმედებაში გიორგი გვარმიანს ბედმა არგუნა სამშობლოს დამცველთა რიგებში ყოფილიყო ისეთ რთულ და სტრატეგიულ მიმართულებაზე, როგორიც კოდორის ხეობა იყო. მისი და თანამებრძოლთა თავგანწირული ბრძოლის შედეგი გახლდათ ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო დაეპყრო ეს ტერიტორია, მას შემდეგაც კი, როდესაც 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმის იურისდიქცია გავრცელდა. სამშობლოს წინაშე ვალმოხდილმა 2003 წელს გადასცა ეს ესტაფეტა ახალგაზრდა სამხედროებს და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე, რის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საზოგადოებრივ მოძრაობაში.

ნაადრევად გარდაცვლილმა გიორგიმ დაგვიტოვა მზრუნველი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები, რომელთა გულებში მისი ხსოვნა მარადჟამს დარჩება.

მსუბუქი იყოს შენთვის ის ქართული მიწა, რომლის გადასარჩენად და შენარჩუნებისთვის სიცოცხლე არ დაიშურე და ჯანმრთელობა შეალიე, ჩვენო გიორგი.

აიპ „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ გამგეობა

სანთელი

ვალერიან (ვალიკო) პავლეს ძე ბილანიშვილის ნათელ ხსოვნას

ვალერიან პავლეს ძე ბილანიშვილი 8 სექტემბერს 80 წლის გახდა.

ნაღდი თბილისელი, სოლოლაკელი ვაჟკაცი, რომელიც ყველას ქომაგი და დამცველი იყო. ის პირველ რიგში თავის ქალაქს და სამშობლოს იცავდა. შსს პოლკოვნიკის ჩინი და უამრავი ჯილდო მის მიერ გავლილი გზის ზუსტი მაჩვენებელია. და ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ იგი ამ სისტემიდან ნამდვილი კაცის სახელით გამოვიდა. მოკრივე, რომელიც თავის ოსტატობას მხოლოდ სუსტის დასაცავად იყენებდა. ნამდვილი ვაჟკაცი, რომლის გარდაცვალებამაც უამრავ ადამიანს დასწყვიტა გული.

კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო გარდაცვლილი მეგობარი, რომლის სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობა საქვეყნოდ იყო განთქმული. მინდა გავიხსენო და ვინატრო, რომ იმისნაირი ვაჟკაცები მრავალი ჰყოლოდეს საქართველოს.

თენგიზ ქავთარაძე

◎ ჩვენი კარაბადინი

წყლის ძალა მოგცეთ!

რამდენად ხშირად სვამთ ჩვეულებრივ წყალს? არა ჩაის, ყავას, ან რომელიმე გაზიანს, არამედ უბრალოდ წყალს? რატომღაც ბევრს იგი უგემური ეჩვენება და თუ პაპანაქება სიცხეში ასე თუ ისე მას სვამენ, წლის ცივ დროში სხვა სასმელებს ამჯობინებენ. არადა, ამ ხალხმა რომ იცოდეს, თუ რაოდენ საჭიროებს ორგანიზმი ჩვეულებრივ წყალს, დარწმუნებული ვართ, მისადმი დამოკიდებულება შეიცვლება. ამიტომაც ამჟამად ჩვეულებრივი წყლის სმის აუცილებლობის სამი მიზეზის შესახებ გვექნება ლაპარაკი.

1. გულის სისხლ-ძარღვთა ნორმალური მუშაობა

სისხლი შედგება თხევადი ნაწილისგან **(პლაზმისგან)** და სისხლუჯრედებისგან **(ერიტროციტებისგან, ტრომბოციტებისგან და ლეიკოციტებისგან)**. ორგანიზმში წყლის დეფიციტი ცირკულირებული სისხლის მოცულობის შემცირებასა და გულის შეკუმშვის უნარის დაქვეითებას იწვევს. თუ წყალს არასაკმარისად ვსვამთ, თხევადი სისხლის ოდენობა კლებულობს, იგი დედდება, წარმოიშვება სისხლძარღვთა დამცველი ტრომბები, რომლებიც სისხლნაკადის არხებს ავიწროებენ და ინფარქტის ან ინსულტის წარმოშობას უწყობენ ხელს.

საფრთხე უფრო დიდია სიცხეში, როცა ვოფლიანდებით და სითხეს ვკარგავთ. პირღებინებისა და კუჭის აშლილობის დროს ორგანიზმი წყალს კარგავს შეჭრილი ინფექციის გამო.

იმისთვის, რომ **სისხლმა ორგანიზმში ნორმალურად იმოძრაოს, კაცმა დღეში ათი ჭიქა (ანუ ორი ლიტრი) წყალი დალიოს. ვიმეორებთ:** არა ჩაი, ყავა ან სხვა, არამედ ჩვეულებრივი წყალი!

2. წონის დაკლება

კუჭი ის, ასე ვთქვათ, „ჭურჭელია“, რომელშიც გადასამუშავებელ საკვებს „ვაწყობთ“. მისთვის შიგთავსს მნიშვნელობა არა აქვს — რამდენად ტკბილი, ცხიმიანი თუ კალორიულია საკვები, იგი მხოლოდ მოცულობაზე რეაგირებს. ამიტომ **ჭამის წინ გირჩევთ ჭიქა წყალი დალიოთ, რითაც ყოველდღიურად მიღებული საკვების კალორიულობას შეამცირებთ.** გარდა ამისა, წყალი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, ხოლო უზმოზე ერთი ჭიქა კუჭის მოქმედებასაც წაადგება.

3. ლორწოვანი გარსის დანამვა

ლორწოვანი გარსის დანამვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზაფხულზე და ინფექციურ დაავადებათა დროს. საქმე ისაა, რომ წყალი ხელს უწყობს ყელის, პირის ღრუსა და ცხვირის ლორწოვანი გარსების დანამვას. მშრალი ლორწოვანი გარსი ორგანიზმში ინფექციის შეჭრისთვის „ღია კარია“, რადგან იქ მოხვედრილი მიკრობები მასში უმალვე იბუდებენ. მაგრამ თუ ლორწოვანი გარსი დანამულია, ვირუსებს იქ დაბუდება უჭირთ და „ცურდებიან“, რითაც ორგანიზმი მათგან თავს იცავს.

ინფორმაცია თემაში

ეცადეთ, ყოველ დღე არანაკლებ ორი ლიტრი წყალი დალიოთ, სიცხეში კი მისი ოდენობის სამ ლიტრამდე გაზრდაც შეგიძლიათ. წყლის სმის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ: 1. ორგანიზმში ნორმალური არტერიული წნევის შენარჩუნებას უწყობს ხელს; 2. სისხლს შედედების საშუალებას არ აძლევს; 3. თავის ტვინს ჯანმრთელად ინახავს; 4. ასუფთავებს კანს; 5. აუცილებელია საჭმლის ნორმალური მონელებისთვის; 6. თირკმელებში კენჭების წარმოშობას უშლის ხელს; 7. იცავს შარდის ბუშტს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვაზეყლებთან

წლის ბოლომდე — რუსულ ბაზარზე...

კარასინ-აბაშიძის მომდევნო, რიგით მეოთხე შეხვედრა პრაღაში 20 სექტემბერს გაიმართება. შეხვედრის მთავარი თემა კი კვლავ ქვეყნებს შორის სავაჭრო და სატრანსპორტო საკითხების მოგვარება იქნება. როგორც ზურაბ აბაშიძე ამბობს, წლის ბოლომდე რუსულ ბაზარზე 100 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქციის შეტანა იგეგმება. გარდა სავაჭრო საკითხებისა, აბაშიძის თქმით, შეხვედრაზე სხვა აქტუალურ საკითხებზე საუბარიც იგეგმება.

„რეზონანსი“

ინტერვიუ კახა კუკავასთან

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ბევრ საინტერესო აზრს აწვდის მკითხველს:

„იმ შეთანხმებაში, რომელიც „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის შედგა, სააკაშვილი არ მონაწილეობს, ამიტომაც არ არის გამორიცხული, იგი მართლა დააპატიმრონ!“

...„ჩვენ უკვე გვაქვს არაფორმალური შეთანხმება საკრებულოში ჩვენს კოლეგებთან, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხი დადებითად გადაწყდება.

...მარგველაშვილს არათუ 53-პროცენტიანი რეიტინგი არა აქვს, არამედ მას არჩევნების პირველ ტურში მოგებაც გაუჭირდება, ხოლო ზოგიერთ რეგიონში, შესაძლოა, მეორე ადგილის პრობლემაც შეექმნას.

„ასავალ დასავალი“

„ციხეებში დიდი არეულობა იგეგმება“

— აცხადებს ადვოკატი ვლადიმერ ტაბაღუა, — იქ ნაციონალებს ჰყავთ ე. წ. მაყურებლები, რომლებიც ძალიან კარგად იყვნენ ჩახუტებული ციხის უფროსებთან. მათ ახლა აიშვეს. ნაცების დროს პატიმარი იყო დაჩაგრული ციხეში,ახლა თანამშრომლები არიან დაჩაგრული, ხმას ვერ იღებენ. ციხის თანამშრომელმა ერთი განცხადება რომ დაწეროს სუბარის სახელზე, მივა იგი პატიმართან, ჩამოართმევს ახსნა-განმარტებას და ამ მეთოდით 85 კაცი გაათავისუფლეს. ახლა თანამშრომლები აღმოჩნდნენ დაუცველები. ეს არის არათანმიმდევრული პოლიტიკისა და სასჯელაღსრულების სფეროს მართვის არცოდნის ბრალი.

„ახალი თაობა“

ბიძინა ივანიშვილის შემცვლელად მამუკა ბახტაძე განიხილება?

როგორც ინტერნეტსაიტი „თავისუფალი ზონა“ იუწყება, პრემიერის პოსტზე ბიძინა ივანიშვილის შემცვლელად მამუკა ბახტაძე განიხილება, რომელსაც ამჟამად საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის პოსტი უჭირავს. ბახტაძეს რეკომენდაცია ივანიშვილთან უტა ივანიშვილმა გაუწია — უტა ივანიშვილი და მამუკა ბახტაძე ერთმანეთს საფრანგეთიდან იცნობენ. რკინიგზის გენერალური დირექტორი საფრანგეთში ერთ-ერთ ბიზნესკოლაში სწავლობდა. ბახტაძე ასევე ფლობს მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს. „თავისუფალი აზრის“ ინფორმაციით, ივანიშვილსა და ბახტაძეს შორის მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაშია. პრემიერ-მინისტრის შემცვლელად ასევე სახელდება ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც ბოლო ხანს მანანა ბერიკაშვილთან, თურმე, მეტყველებაში დაიწყო მეცადინეობა.

„ვერსია“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ახალგაზრდა ქალი მკითხავს ეკითხება:

— ორ კაცს მოვწონვარ, მიხოს და ვანუას, იქნებ მიმარჩიელოთ რომელ მათგანს გაუმართლებს? მკითხავი გაშლის ბანქოს, რაღაცას ჩიფჩიფებს, ბოლოს ქალიშვილს ახედავს და დამაჯერებლად ეუბნება.

— კარტმა მაჩვენა, რომ გაუმართლებს მიხოს, შენ კი ვანუას გაჰყვები ცოლად.

* * *

— **მიხო,** — ეკითხება მათემატიკის მასწავლებელი პატარა მიხოს, — შენა გაქვს 10 ლარი, მამაშენს სთხოვე თხუთმეტი ლარი, რამდენი გაგიხდება?

— ათი ლარი, მასწ!

— დაჯექი, ორიანი, საერთოდ არ იცი მათემატიკა!

— სამაგიეროდ მამაჩემის ხასიათი ვიცი, მასწ!

გამოცდაზე მეგრელი ეტრაბახება მეგობრებს:

— გაივლის წლები, ხალხი გახედავს ჩვენი ინსტიტუტის შენობას და იტყვიან — აქ სწავლობდა ძუკუ...

მის ტრაბახს ყურს მოკრავს გამომცდელი და სათვალის ქვემოდან ახედავს:

— ახლა თუ არ ჩააბარე გამოცდა, ამას უკვე ხვალვე იტყვიან.

* * *

— **რას** გააკეთებ, ზუსტად რომ იცოდე შენი გარდაცვალების დღე?

— დავიწყებ სმას, უსაქმურობას, ქალებში სიარულს, ვისი ჯინიც მაქვს ცხვირ-პირს დავუმტვრევ...

— რომ გაკვირდები, ვრწმუნდები, რომ შენ მართლა გაგიგია როდის მოკვდები.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24